ადამიანის უფლებების მდგომარეობა საქართველოში 2021

ადამიანის უფლებების მდგომარეობა საქართველოში, 2021

2022

ავტორი: ლაზარე ჯიბლაძე
რედაქტორი: ალეკო ცქიტიშვილი
ანგარიშის ყდაზე - გუგა მაისურაძის და ინტერპრესნიუსის ფოტოები

ანგარიში მომზადებულია ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში.

ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შემდეგი საერთაშორისო ქსელების წევრი:

• ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH); www.fidh.org
• წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი SOS - წამება); www.omct.org
• ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი www.humanrighshouse.org
•სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა კოალიცია (CICC); www.coalitionfortheicc.org

მისამართი:
0160 თბილისი, ა. გახოკიძის ქ. 11ა, III სართული
ტელ.: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 238 46 48
ელ-ფოსტა: hrc@hrc.ge
ონლაინ გამოცემა ადამიანის უფლებების შესახებ: http://www.humanrights.ge
ვებ-საიტი: hrc.ge

ანგარიში მომზადდა აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას. შესაბამისად, NED არ არის პასუხისმგებელი ტექსტის შინაარსზე.

სარჩევი

ანგარიშის შესახებ 4

შესავალი 4

პოზიტიური ცვლილებები საარჩევნო კანონმდებლობაში 7

პანდემია და ადამიანის უფლებები 8

უსახლკაროთა პრობლემები 10

სასამართლო ხელისუფლება 12

პოლიტიკური დევნის ნიშნები 14

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 16

შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება 21

თანასწორობის უფლება 23

პენიტენციური დაწესებულებები 35

ადამიანის უფლებები ოკუპირებულ ტერიტორიებზე 37

მედიაგარემო 38

ფარული მიყურადებები 43

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეები 44

საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოში ადამიანის
უფლებების მდგომარეობის შესახებ 45

ანგარიშის შესახებ

წინამდებარე ანგარიშში მიმოხილულია ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში 2021 წელს. ტრადიციულად, მასში შესულია ყველა ის მნიშვნელოვანი სამართლებრივი და პოლიტიკური საკითხი, რამაც გავლენა იქონია ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტზე. ანგარიში ეფუძნება ადამიანის უფლებათა ცენტრის, საქართველოში მოქმედი სხვა ორგანიზაციების, საქართველოს სახალხო დამცველისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ცნობებს და შეფასებებს.

ანგარიშის მიზანია, შეაფასოს სახელმწიფოს სხვადასხვა უწყებების ქმედება ადამიანის უფლებათა დაცვის ჭრილში, მათი რეაგირების ხარისხი უფლებების დარღვევებზე, მართლმსაჯულების ეფექტიანობა და საკანონმდებლო თუ სისტემური ცვლილებები, რაც მიმართული უნდა იყოს საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრებისკენ.

ანგარიშის შინაარსი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა. თავის მხრივ, 2020 წლის მსგავსად, Covid-19-ის პანდემიამ 2021 წელსაც დიდი გავლენა იქონია ადამიანის უფლებების მდგომარეობაზე. შესაბამისად, ანგარიშში განხილულ საკითხთა უმრავლესობა სწორედ პოლიტიკური პროცესების, პანდემიისა და მისი მძიმე შედეგების გათვალისწინებით მიმოიხილავს საქართველოში 2021 წლის განმავლობაში განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებს.

ანგარიში მოიცავს საკვანძო მიმართულებებს ადამიანის უფლებათა ისეთ სფეროებში, როგორიც არის: კანონის წინაშე თანასწორობა, გამოხატვისა და სიტყვის თავისუფლება, სასამართლო სისტემა, ადამიანის უფლებები პენიტენციურ დაწესებულებებში, ოკუპაცია და მისი შედეგები ადამიანის უფლებრივ მდგომარეობაზე, შრომის უფლება, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეები, მედიის თავისუფლების საკითხები, შშმ პირთა მდგომარეობა, LGBTQ+ პირთა უფლებები, ქალთა მიმართ ძალადობის, მათ შორის - ოჯახში ძალადობის ფაქტები, საარჩევნო სისტემა, რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობათა უფლებები, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები და ა.შ.

შესავალი

2020 წლის მსგავსად, 2021 წელსაც, ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა საქართველოში, ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში, ახალი კორონავირუსით გამოწვეული პანდემია იყო, რომელმაც კიდევ უფრო გააშიშვლა ქვეყანაში არსებული სამართლებრივი, პოლიტიკური თუ სოციალურ-ეკონომიკური

პრობლემები, რასაც ნეგატიური გავლენა აქვს ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტზე. პანდემიით გამოწვეულმა კრიზისმა ცხადყო ქართული ჯანდაცვის სისტემის ნაკლოვანებები, ქვეყანაში მცხოვრები ადამიანების სოციალური მოწყვლადობისა და ეკონომიკური სიდუხჭირის მასშტაბები, სახელმწიფო პოლიტიკის სისუსტე დოვლათის გადანაწილებისა და სოციალური გარანტიების შექმნის კუთხით, კანონის წინაშე თანასწორობისა და ხელისუფლების პოლიტიკის არაინკლუზიურობა, უმცირესობათა უფლებების სისტემური უგულვებელყოფა, მართლმსაჯულების სისტემის ხარვეზები და ა.შ.

2020 წლის 31 ოქტომბერს პანდემიის პირობებში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგებთან დაკავშირებული პროცესები 2021 წელსაც გაგრძელდა. 2021 წლის 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ შექმნილმა პოლიტიკურმა კრიზისმა კი არსებული მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. ქართული საარჩევნო სისტემის ხარვეზებმა, პოლარიზებულმა პოლიტიკურმა გარემომ და მედიამ, გაუარესებულმა სოციალურმა და ეკონომიკურმა ვითარებამ მნიშვნელოვნად დააზარალა ქართული დემოკრატია და პოლიტიკური პროცესების მძიმე კრიზისში შესვლას შეუწყო ხელი.

2021 წელს, კიდევ უფრო პრობლემური იყო სასამართლოების დაკომპლექტების საკითხი, მოსამართლეთა შერჩევის პროცესის გაუმჭვირვალობა და პროცესისადმი საზოგადოებრივი და საერთაშორისო თანამეგობრობის ნდობის დეფიციტი.

გარდა ამისა, 2021 წლის 25 დეკემბერს, გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოს პარლამენტი დაჩქარებული წესით გეგმავს განიხილოს კანონპროექტი, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმებას და მის ნაცვლად სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის შექმნას. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიმართ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მხრიდან დაგეგმილი თავდასხმის, ინსტიტუტის დამოუკიდებლობისა და ნდობის რღვევის გამო, უკიდურესი შეშფოთება გამოთქვეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა[1] და საერთაშორისო პარტნიორებმა[2].

შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლების დაცვის მხრივ, 2021 წელს განსაკუთრებით ბევრმა სისტემურმა პრობლემამ იჩინა თავი. საპოლიციო ძალების მიერ შეკრებებისა და მანიფესტაციების დაშლა ხელისუფლებისთვის,

[1] იხ. განცხადება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესაძლო გაუქმებასთან დაკავშირებით: http://www.hrc.ge/332/geo/

[2] იხ. საქართველოში აშშ-ის ელჩის, კელი დეგნანის განცხადება: https://netgazeti.ge/life/584531/ ; ასევე: იხ. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმების ინიციატივას საერთაშორისო გამოხმაურება მოჰყვა: https://civil.ge/ka/archives/465038

საზოგადოებრივი პროტესტის ჩახშობის ისევ ჩვეული გზაა. პოლიტიკური დევნა და პოლიტიკური პატიმრობა, წელსაც იქცა ქართული ხელისუფლების კრიტიკის ერთ-ერთ მიზეზად. პოლარიზებულ მედიაგარემოში გაიზარდა ინფორმაციის მანიპულირებისა და რადიკალიზაციის საფრთხეები. როგორც სახელისუფლებო, ისე მკვეთრად ოპოზიციური მედიასაშუალებებისთვის სიძულვილის ენა, უხამსობა და ჟურნალისტური ეთიკის იგნორირება ყოველდღიური საქმიანობის ნაწილად იქცა. დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელება. საკუთარი პროფესიული მოვალეობის შესრულებისას, ჟურნალისტები გახდნენ ფიზიკური ძალადობის/თავდასხმების ობიექტები, რაც მნიშვნელოვანწილად ხელისუფლებაში მყოფი მაღალი თანამდებობის პირების, სასულიერო იერარქებისა და სხვადახვა ულტრაკონსერვატორი და ულტრამემარჯვენე ჯგუფების წახალისებით ხდებოდა.

პანდემიითა და პოლიტიკური პროცესებით შექმნილი კრიზისის პარალელურად, მზარდია რუსეთის ფედერაციისა და მისი საოკუპაციო ძალების გავლენა როგორც საქართველოზე, ისე რეგიონის სხვა ქვეყნებზე, რაც მუდმივად ასუსტებს სტაბილურობის განცდას, რეგიონში არსებული აქტიური და გაყინული კონფლიქტების გათვალისწინებით. უმწვავესია საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების სისტემური და უხეში დარღვევის ფაქტები, პანდემიის პირობებში უკანონო ბორდერიზაციის გაგრძელება, ოკუპირებული რეგიონების ადმინისტრაციული საზღვრიდან ადამიანების უკანონო გატაცება და ა.შ.

ქვეყანაში კვლავ დიდ გამოწვევად რჩება სხვადასხვა უმცირესობათა უფლებების დაცვა, თანასწორობის იდეის დანერგვა და იმპლემენტაცია რეალურ ცხოვრებაში. განსაკუთრებულ მოწყვლად ჯგუფად რჩება ლგბტ+ ადამიანები, რომელთა უფლებები 2021 წელსაც არ გაუმჯობესებულა. მიუხედავად ბოლო წლებში განხორციელებული პოზიტიური საკანონმდებლო ცვლილებებისა და დანაშაულზე რეაგირების გაზრდილი მაჩვენებლისა, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა კვლავ დიდ გამოწვევად რჩება. კვლავ მძიმეა შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობა. მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესებულა არც ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მდგომარეობა და ისინი კვლავ ხდებიან სისტემური დისკრიმინაციისა და სტიგმატიზაციის მსხვერპლნი. არსებული სისტემური პრობლემებისა და პანდემიით გამოწვეული კრიზისის გათვალისწინებით, იმ ფონზე, როცა ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები ყურადღების მიღმა ტოვებს არადომინანტ და ისედაც მარგინალიზებულ ჯგუფებს, სავარაუდოდ, კრიზისის მავნე შედეგებს მძიმე და გრძელვადიანი შედეგი ექნება თანასწორობის პოლიტიკის გატარების კუთხითაც.

პოზიტიური ცვლილებები საარჩევნო კანონმდებლობაში

საქართველოში სამართლიანი საარჩევნო სისტემის დამკვიდრება დღემდე პრობლემური საკითხია. შედეგად, საქართველოში, არჩევნების გზით ხალხის ნამდვილი ნების ზუსტი გამოსახვის გარანტიები ყოველთვის კითხვის ქვეშ დგას.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად წარმოქმნილი პოლიტიკური ჩიხის დასაძლევად, 2021 წლის 19 აპრილს მმართველმა პოლიტიკურმა პარტიამ „ქართულმა ოცნებამ“ და ოპოზიციური პარტიების ნაწილმა ხელი მოაწერეს ევროპული საბჭოს პრეზიდენტის, შარლ მიშელის მიერ წარმოდგენილ კომპრომისულ შეთანხმების დოკუმენტს სახელწოდებით - „სამომავლო გზა საქართველოსთვის“ (A way ahead for Georgia)[3]. დოკუმენტი ხუთპუნქტიანია და, მათ შორის, მოიცავს ძალთა გადანაწილებას პარლამენტში და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებს. ამ ხელშეკრულების შესრულების მიზნით, 2021 წლის 28 ივნისს საარჩევნო საკანონმდებლო ჩარჩო მნიშვნელოვნად შეიცვალა.

საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, შეიცვალა საარჩევნო კომისიების შემადგენლობა და კომისიის წევრთა დანიშვნის წესი; შემოღებულ იქნა უფრო მაღალი პროპორციული კომპონენტი ადგილობრივი არჩევნებისთვის და სავალდებულო შემთხვევითი ხელახალი გადათვლა და ზომები, ამომრჩევლის დაშინებისა და ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების აღკვეთის მიზნით; გაიზარდა გასაჩივრების და საჩივრების/სარჩელების განხილვის გარკვეული ვადები; აიკრძალა საარჩევნო უბანზე, კენჭისყრის შენობის შესასვლელიდან 25 მეტრის მანძილზე სააგიტაციო მასალის განთავსება; აიკრძალა კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობიდან 100 მეტრის მანძილზე ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება. ასევე, აიკრძალა კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობიდან 100 მეტრის მანძილზე ადამიანთა შეკრება ან ამომრჩეველთა აღრიცხვა და სხვ[4].

მიუხედავად იმისა, რომ 2021 წლის საარჩევნო რეფორმა იმთავითვე ითვალისწინებდა საარჩევნო სისტემის ცვლილებას, წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვის წესს, საარჩევნო ადმინისტრაციის ინსტიტუციური ჩარჩოს გაუმჯობესებას, კენჭისყრის პროცესს, მისი შეჯამებისა და საარჩევნო დავების

[3] ob. A way ahead for Georgia'. Proposal by President of the European Council Charles Michel to the representatives of Georgian political parties: https://bit.ly/3GWfr59

[4] ob. 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მონიტორინგი, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2021; გვ.11-19.: https://bit.ly/3yEOtMF

მიმართულებით, მიღებული ცვლილებები მაინც ვერ ჩაითვლება საარჩევნო სისტემის სრულყოფისთვის გადადგმულ ადეკვატურ ნაბიჯად[5]. ცვლილებები ნაწილობრივ შეეხებოდა ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისისა და ვენეციის კომისიის მანამდე გაცემულ რამდენიმე რეკომენდაციას. თუმცა, განუხორციელებელი დარჩა ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არაერთი მანამდე გაცემული რეკომენდაცია. მათ შორის, ის რეკომენდაციები, რომლებიც შეეხებოდა ხმის უფლების შეზღუდვას, საარჩევნო დავების გადაწყვეტის გზებსა და ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების აღსაკვეთად მიღებულ დამატებით ზომებს[6]. ამასთან, ცალკეულ შემთხვევებში, რეფორმის ფარგლებში განხორციელებული ცვლილებები, დამატებით კრიტიკას იწვევს[7]. მაგალითად, საარჩევნო უბანზე, კენჭისყრის დღეს, პარტიების მიერ დანიშნულ კომისიის წევრებს აღარ აქვთ უფლება, შეასრულონ ამომრჩეველთა რეგისტრატორის ფუნქცია. ეს კი კომისიის წევრებს არათანაბარ პირობებში აყენებს, ასევე, ამ შეზღუდვამ, შესაძლოა, საარჩევნო პროცედურების ჯეროვან აღსრულებას ხელი შეუშალოს.

პანდემია და ადამიანის უფლებები

2020 წლის 31 დეკემბერს საქართველომ შეატყობინა გაეროს გენერალურ მდივანს, რომ მანამდე დაწესებული ადამიანის უფლებათა შეზღუდვები განაგრძობდა მოქმედებას 2021 წლის 1 ივლისამდე[8]; მსგავსი შინაარსის შეტყობინება 2021 წლის 1 იანვარს საქართველომ გაუგზავნა ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს[9].

წინა წლის მსგავსად, Covid-19-ის პანდემიის შედეგად განვითარებულმა მოვლენებმა მრავალი გამოწვევა წარმოშვა. ქვეყანა კვლავ მოუმზადებელი აღმოჩნდა კორონავირუსისგან მომდინარე საფრთხეებთან. გაუმართავი აღმოჩნდა არა მხოლოდ საზოგადოებრივ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზა, არამედ კონსტიტუციით მოწესრიგებული საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისა და აღსრულების მექანიზმებიც. 2021 წელს, კიდევ უფრო გაუარესდა ადამიანების სოციალურ-ეკონომიკური და უფლებრივი მდგომარეობა და მოსახლეობის ყველაზე დაუცველი, დაბალი შემოსავლის

[5] იხ. 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მონიტორინგი, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2021; გვ.6-7.: https://bit.ly/3yEOtMF

[6] იხ. Georgia – Joint Opinion of the Venice Commission and the OSCE/ODIHR on the amendments to the Election Code of Georgia: https://bit.ly/325OZaG; ასევე, იხ. Venice Commission, OSCE/ODIHR, Urgent Joint Opinion on Revised Draft Amendments to the Election Code [05/07/2021]: https://bit.ly/3IVUetU

[7] იხ. Venice Commission, OSCE/ODIHR, Urgent Joint Opinion on Revised Draft Amendments to the Election Code, [05/07/2021], para. 15, 17.: https://bit.ly/3IVUetU

[8] იხ. GEORGIA: NOTIFICATION UNDER ARTICLE 4 (3) 1.: https://bit.ly/3mfyGyU

[9] იხ. NOTIFICATION OF COMMUNICATION State: Georgia.: https://bit.ly/324KVHJ

მქონე ჯგუფები უფრო რთულ ვითარებაში ჩააყენა.

Covid-19-ის წინააღმდეგ სახელმწიფოს მიერ გატარებული არაეფექტური ღონისძიებების შედეგად, ქვეყანაში ვირუსით ინფიცირების მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც სამედიცინო სექტორის გადატვირთულობას იწვევდა. სამწუხაროდ, ვაქცინაციის დაწყების მიუხედავად, მნიშვნელოვნად არ შემცირებულა გარდაცვლილ პაციენტთა დღიური რაოდენობა და ერთ მილიონ მოსახლეზე, კოვიდ 19-ით გარდაცვალების შემთხვევებით, 2021 წლის 28 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველო მე-8 ადგილზე იმყოფებოდა[10].

2021 წელს სახალხო დამცველმა არაერთგზის გააკრიტიკა ხელისუფლება კოვიდ 19-ის პანდემიის მართვის იმ მიდგომების გამო, რამაც სახელმწიფოს მხრიდან ***ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლების*** დაცვას რეალური საფრთხე შეუქმნა. კერძოდ, არაეფექტური იყო სახელმწიფოს მიერ ვაქცინაციის პროცესთან დაკავშირებული საინფორმაციო კამპანია[11]. გარდა ამისა, კორონავირუსის წინააღმდეგ საბრძოლველად რეგულაციების შემოღების თუ მოხსნის თაობაზე გადაწყვეტილებები უმეტესწილად კონკრეტული მეცნიერული მტკიცებულებების და საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტების უგულებელყოფით მიიღებოდა[12].

საქართველოში ძალიან დაბალია ვაქცინაციის მაჩვენებელი და წლის ბოლოს მოზრდილი მოსახლეობის მხოლოდ 37%-მდე იყო სრულად ვაქცინირებული, ასევე ძალიან დაბალი იყო 60 წელს გადაცილებული სრულად ვაქცინირებული მოსახლეობის რაოდენობა - ამ ასაკობრივ ჯგუფში, მხოლოდ 37 %-მდე იქნა აცრილი[13]. საქართველოში ლეტალობის მაჩვენებელი ყველაზე მაღალი სწორედ 60 წელს გადაცილებულ არავაქცინირებულ პირებში დაფიქსირდა.

სამწუხაროდ სახელმწიფომ ამ შემთხვევაშიც ვერ უზრუნველყო მოსახლეობის ამ ასაკობრივი ჯგუფისათვის ვაქცინაციის პროცესის გამარტივება და ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვაქცინაციის მსურველთა რეგისტრაცია მხოლოდ ონლაინ ვებ-გვერდის მეშვეობით იყო შესაძლებელი, რაც ხანდაზმულებისთვის, ხშირ შემთხვევაში, დაუძლეველ წინაღობას წარმოადგენდა ვაქცინაციის ჩასატარებლად.

სხვადასხვა ხასიათისა[14] და ინტენსივობის რეგულაციებმა[15]

---

10 იხ. სტატისტიკური ინფორმაცია: https://bit.ly/3EsOHYo

11 იხ. სახალხო დამცველის განცხადება [10/12/2021]: https://bit.ly/33NkCq1

12 ***შენიშვნა:*** *ამის საუკეთესო მაგალითია მუდმივი მწვანე პასპორტის შემოღება, გარკვეული პერიოდის განმავლობაში პირბადის ტარების ვალდებულების გაუქმება და ა.შ.*

13 იხ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი: სტატისტიკური ინფორმაცია: https://vaccines.ncdc.ge/statistics/

14 იხ. არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება კომენდანტის საათის ძალაში დატოვების თაობაზე [04/02/2021]: http://www.hrc.ge/104/geo/

მნიშვნელოვნად შეზღუდა ეკონომიკური აქტივობები, რამაც ხელფასის, ხშირ შემთხვევაში კი - სამსახურის გარეშე დატოვა ათასობით ადამიანი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ სახელმწიფო ვალის გაზრდის ხარჯზე გაჩენილი ანტიკრიზისული დახმარებები და პირდაპირი ფულადი კომპენსაციები გასცა მათზე, ვინც კორონავირუსის გავრცელების წინააღმდეგ დადგენილი შეზღუდვების დროს სამსახური დაკარგა, ეს ღონისძიება მაინც ვერ პასუხობდა მწვავე სოციალურ და ეკონომიკურ კრიზისს ქვეყანაში[16]. სახელმწიფოსთვის კვლავ სირთულეს წარმოადგენდა როგორც არაფორმალურად დასაქმებულთა სოციალური დაცვა, ისე სწრაფი და ადეკვატური რეაგირება მასშტაბურ გაფიცვებსა და სხვადასხვა სახის პროტესტზე, რასაც სახელმწიფო უგულებელყოფდა ან/და რეპრესიით პასუხობდა, ზღუდავდა პროტესტის კონსტიტუციურ უფლებას და გადაადგილების თავისუფლებას საზოგადოებრივი პროტესტების კერებში[17].

საზოგადოებრივი ტრანსპორტითა და ავტომობილით გადაადგილების შეზღუდვამ დიდი გავლენა იქონია როგორც სოფლად, ისე ქალაქში მცხოვრებ ადამიანებზე, ვისაც მაღაზიებამდე და სხვა აუცილებელ ობიექტებამდე მისასვლელად კილომეტრების გავლა უწევდათ, რაც განსაკუთრებულად რთული მოხუცებისთვის იყო.

კრიზისთან გამკლავების პირობებში დადგენილი რეგულაციებით, ჯანმრთელობის დაცვის მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად შეიზღუდა პატიმართა უფლებებიც *(მაგალითად ვიზიტებზე დაწესებული შეზღუდვით)*. კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით მიღებულმა ზომებმა ყველაზე დიდი გავლენა სწორედ პატიმრების გარე სამყაროსთან კონტაქტის უფლების რეალიზებაზე მოახდინა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წელს შეზღუდვების საკომპენსაციოდ გატარებული ღონისძიებები ძალზედ მწირია[18].

უსახლკაროთა პრობლემები

2021 წელსაც მწვავედ დგას სათანადო საცხოვრისის უფლებასთან დაკავშირებული პრობლემები საქართველოში, რაც წლების განმავლობაში

---

15 იხ. საქართველოში კორონავირუსის (COVID-19) გავრცელება და პრევენციული ქმედებები - ქრონოლოგია [01/12/2021]: https://bit.ly/3yFfG1L

16 იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიმართვა საქართველოს მთავრობას კორონავირუსის პანდემიის პირობებში დაზარალებული მოქალაქეების კომპენსაციებთან დაკავშირებით: http://www.hrc.ge/98/geo/; ასევე, იხ. არაფორმალობა პანდემიამდე და პანდემიის შემდეგ, ვინ მოიცვა (და ვინ ვერ მოიცვა) საქართველოში სახელმწიფოს ანტიკრიზისულმა გეგმამ? გამოწვევა, ჩავარდნა და პოლიტიკის გარდაქმნის შესაძლებლობა, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021: https://bit.ly/3qbioYT

17 იხ. ნამახვანჰესის კასკადის მშენებლობის წინააღმდეგ გამართული საპროტესტო აქციების მონიტორინგი - სამართლებრივი ანალიზი, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2021: https://bit.ly/3242HuI

18 იხ. N8 პენიტენციური დაწესებულების ქსნის ნაწილსა და N10 პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელებული საგანგებო ვიზიტების შემდგომი ანგარიში, საქართველოს სახალხო დამცველი, პრევენციის ეროვნული მექანიზმი [03/11/2021]: https://bit.ly/3Ff1bUD

სისტემურ ხასიათს ატარებს. ქვეყანაში არ არსებობს უსახლკარო პირთა დაცვის სამთავრობო სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა. კანონმდებლობაში კვლავაც არ არის უსახლკარო პირის სრულფასოვანი დეფინიცია და ამ უფლების რეალიზაციისთვის აუცილებელი ჩარჩო კანონმდებლობა, არ არსებობს უსახლკაროთა შესახებ მონაცემთა ერთიანი ბაზა[19]. შესაბამისად, უსახლკაროები ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად და სოციალურად გარიყულ ჯგუფად რჩება საზოგადოებაში.

საგულისხმოა, რომ უსახლკარო პირთა ბაზების ფორმირება ზოგიერთ ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულში საერთოდ არ ხდება, ხოლო იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც მიღებულია უსახლკაროდ რეგისტრაციის წესი, უსახლკარო პირის კანონისმიერი დეფინიციის ბუნდოვანების გამო, მუნიციპალიტეტების მიხედვით განსხვავებულია უსახლკარო პირად მიჩნევის კრიტერიუმები, რაც არაერთგვაროვან მიდგომას და უსახლკარო პირთა სხვადასხვა ჯგუფის დეფინიციიდან გამორიცხვას იწვევს[20].

2021 წელს სახალხო დამცველმა საკონსტიტუციო სასამართლოს უსახლკარო პირთათვის სტატუსის მინიჭების წესის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით მიმართა. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სადავოდ გამხდარი საკანონმდებლო რეგულაციით, დადგენილი უსახლკარობის ცნება ბუნდოვანია და ამასთანავე არ ასახავს რეალობაში არსებულ უსახლკარობის ყველა ფორმას. ხოლო ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ მიღებული უსახლკარო პირთა რეგისტრაციის წესი უსახლკარო პირების დიდ ნაწილს სათანადო საცხოვრისზე მისაწვდომობის უფლების გარეშე ტოვებს[21].

უსახლკაროთა პრობლემების ნათელი ილუსტრაციაა თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ე.წ. ოქროს უბნის ტერიტორიაზე უსახლკარო და დევნილი ოჯახების მიმართ რეპრესიული ღონისძიებებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება. 2021 წლის მაისში, პროკურატურამ 7 ადამიანი ბრალდებულად ცნო თითქოსდა სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე მუხლით *(ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევა)* გათვალისწინებული ქმედების ჩადენის გამო[22]. სახელმწიფომ, ტერიტორიის პრივატიზაციის შემდეგ, არათუ კომპენსაცია/ღირსეული საცხოვრებელი შესთავაზა შინამეურნეობებს, არამედ გამოსახლებით დაემუქრა და მაშინ, როცა მათ ქუჩაში დარჩენაზე უარი განაცხადეს, მათ წინააღმდეგ სისხლისამართლებრივი დევნა დაიწყო[23].

---

19 იხ. საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, საქართველოს სახალხო დამცველი, 2020 წელი, გვ. 305.: https://bit.ly/3eibsDE

20 იხ. სახალხო დამცველის განცხადება: https://bit.ly/3pic2HW

21 იხ. საქართველოს სახალხო დამცველმა საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა უსახლკარო პირთათვის სტატუსის მინიჭების წესის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით [08/17/2021]: https://bit.ly/3F7h9Ad

22 იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 160: https://bit.ly/326ggtA

23 იხ. სახელმწიფო უსახლკარო ადამიანების წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივ დევნას იწყებს - მათ

სასამართლო ხელისუფლება

საქართველოში სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული პრობლემები კვლავ უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა. სასამართლო სისტემის რეფორმის ოთხი ტალღის მიუხედავად, დღემდე სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობა კრიტიკულად დაბალია, ხოლო იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვერ უზრუნველყოფს სისტემის დამოუკიდებლობას და ეფექტიანობას. სასამართლოს მიმართ არსებული დაბალი ნდობა, შერჩევითი და პოლიტიზებული მართლმსაჯულების ნიშნები კი, ხელს უწყობს პოლიტიკური კრიზისის გამწვავებას და ვითარების ესკალაციას[24]. წლების განმავლობაში, მოსამართლეთა შერჩევისა და თანამდებობაზე გამწესების ხარვეზიანმა წესებმა საბოლოოდ დაუკარგა ნდობა სასამართლო ხელისუფლებას. ამასთან, ვენეციის კომისიის რეკომენდაციები ჯერ კიდევ არ არის შესრულებული[25].

მართლმსაჯულების სისტემაში არსებული მწვავე პრობლემების დადასტურება იყო 2021 წლის 19 აპრილის შეთანხმება, სადაც სისტემური რეფორმის საჭიროებაზე ხაზგასმით იყო აღნიშნული; აგრეთვე, მითითებულია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არსებით რეფორმაზე გამჭვირვალობის, მთლიანობის და სანდოობის მიზნით[26]. დოკუმენტის შესაბამისად, ფართომასშტაბიანი, ინკლუზიური და ყველა პარტიის მონაწილეობით შემუშავებული რეფორმების გზაზე, პარლამენტს უნდა დაეწყო ამბიციური სასამართლო რეფორმა[27]. შეთანხმების საპირისპიროდ, მმართველმა პარტიამ - „ქართულმა ოცნებამ“, დოკუმენტის ხელმოწერამდე მიღებული ცვლილებები შეთანხმების სრულად შესრულებად წარმოაჩინა[28], რითაც, ფაქტობრივად, უარი თქვა საერთაშორისო დონეზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

პრობლემურია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობა. მართლმასჯულების სისტემის მართვასთან დაკავშირებულ თუ საკადრო გადაწყვეტილებებს, საბჭო კვლავაც ვიწრო-კლანური ინტერესებით იღებს და უკიდურესად დაბალია ამ ორგანოს მიმართ სხვადასხვა პროფესიული ჯგუფისა თუ სამოქალაქო საზოგადოებისა ნდობის ხარისხი[29]. ამ ფონზე, მოსამართლეთა

უფლებებს სოციალური სამართლიანობის ცენტრი დაიცავს [07/09/2021]: https://bit.ly/3J5ZThh

[24] იხ. კოალიცია პარლამენტს მართლმსაჯულების რეფორმაზე მუშაობის დაწყებისკენ მოუწოდებს [18/05/2021]: https://bit.ly/3mi1hUf

[25] იხ. VENICE COMMISSION- URGENT OPINION ON THE AMENDMENTS TO THE ORGANIC LAW ON COMMON COURTS; Issued pursuant to Article 14a of the Venice Commission's Rules of Procedure on 28 April 2021 [02/08.2021].: https://bit.ly/3GY4LmM

[26] იხ. President of the European Council Charles Michel publishes new proposal made today to Georgian political parties [18/04/2021].: https://bit.ly/3yKEAgu

[27] *იქვე.*

[28] იხ. ირაკლი კობახიძის, არჩილ თალაკვაძისა და შალვა პაპუაშვილის ერთობლივი განცხადება [16.07.2021].: https://bit.ly/3GWD8Kz

[29] იხ. იუსტიციის უმაღლესი საბჭო აგრძელებს მართლმსაჯულებისთვის დამაზიანებელი ნაბიჯების გადადგმას [06/18/2021]: https://bit.ly/30HGq4Z

კონფერენციამ 2021 წლის 26 მაისს[30] - 4, ხოლო 2021 წლის 31 ოქტომბერს[31] - 2 ახალი მოსამართლე წევრი აირჩია საბჭოში. ამის პარალელურად, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წლის ბოლომდე არ დანიშნულა 5 არამოსამართლე წევრი, რაც კიდევ უფრო ამცირებს ამ ორგანოს საქმიანობაზე გარეკონტროლისა და გამჭვირვალობის შესაძლებლობებს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრების არჩევას მწვავე კრიტიკა მოჰყვა საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან. მათ საბჭოს წევრების არჩევის შეჩერება მოითხოვეს და პარლამენტის თავმჯდომარეს 19 აპრილის შეთანხმებით აღებული ვალდებულებები შეახსენეს[32]. ამის მიუხედავად, 2021 წლის 12 ივლისს, საქართველოს პარლამენტმა უზენაეს სასამართლოში 6 მოსამართლე თანამდებობაზე უვადოდ დანიშნა[33]. შეთანხმების საპირისპიროდ განხორციელებულ დანიშვნებს ევროკავშირის[34] და აშშ-ის საელჩოს[35] მწვავე კრიტიკა მოჰყვა. OSCE/ODHIR-ის ანგარიშის თანახმად კი, მოსამართლეთა კანდიდატები საზოგადოებრივი ნდობის დეფიციტში დასახელდნენ[36].

2021 წლის ნოემბერში განახლდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის პროცედურები პარლამენტში და საკომიტეტო მოსმენების შემდეგ, იურიდიული კომიტეტის რეკომენდაციით, კიდევ 4 მოსამართლე გამწესდა უვადოდ თანამდებობაზე[37]. განახლებულმა დანიშვნებმა საერთაშორისო პარტნიორების მწვავე კრიტიკა დაიმსახურა. ევროკავშირმა გაავრცელა განცხადება, რომ საქართველოსთვის ევროკავშირის დახმარება რეფორმების წინსვლაზეა დამოკიდებული. ასევე, კიდევ ერთხელ მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, ხელი შეუწყონ სასამართლო სისტემის, მათ შორის - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებლობის, ანგარიშვალდებულებისა და ხარისხის განმტკიცებას, ფართო, ინკლიუზიური და პარტიებს შორის შეთანხმებული რეფორმების გზით[38]. აშშ-ის ელჩმა, კელი დეგნანმა განაცხადა, რომ მოსამართლეთა დანიშვნის პროცესის გაგრძელება იმედგაცრუებას იწვევს და კიდევ 4 მოსამართლე იქნა არაგამჭვირვალე

---

30 იხ. იუსტიციის საბჭოს 4 ახალი მოსამართლე წევრი ჰყავს - ვინ არიან ისინი? [06/26/201]: https://bit.ly/33yw0FS

31 იხ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განცხადება - მოსამართლეთა XXX კონფერენცია [10/31/2021]: https://bit.ly/3sjQ0GB

32 იხ. „დიპლომატები ქართულ ოცნებას პასუხისმგებლობებს ახსენებენ და მოსამართლეთა დანიშვნის შეჩერებისკენ მოუწოდებენ“ [22/05.2021]: https://bit.ly/3Fe6dAX

33 იხ. „პარლამენტმა უზენაეს სასამართლოში 6 მოსამართლე უვადოდ დანიშნა“ [12/07/2021]: https://bit.ly/3paYcHt

34 იხ. „მოსამართლეების დანიშვნა და ევროკომისიის განცხადება“ [14/07/2021]: https://bit.ly/3q7X9Hr

35 *იქვე.*

36 OSCE - დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი, „საქართველოში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშვნის მესამე ანგარიში“, 2021: https://bit.ly/3Eq2dhL; ასევე, იხ. სიახლეები საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ: ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH) ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC): https://bit.ly/3ozc3Wq

37 იხ. პარლამენტმა უზენაესი სასამართლოს ოთხი მოსამართლე აირჩია, [01/12/2021].: https://bit.ly/3p74IUW

38 იხ. EU მოსამართლეებზე: საქართველოსთვის EU-ს დახმარება რეფორმების წინსვლაზეა დამოკიდებული [02/12/2021]: https://bit.ly/32iwzTy

პროცესით უვადოდ დანიშნული[39].

პოლიტიკური დევნის ნიშნები

2021 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო ან გაგრძელდა წინა ხელისუფლების არაერთი მაღალი რანგის მოხელის, ასევე - ხელისუფლების წინააღმდეგ მიმდინარე საპროტესტო აქციებზე დაკავებული პირების მიმართ. ამ საქმეებზე სავარაუდო პოლიტიკური მოტივების არსებობის გამო, იმთავითვე დიდი ინტერესი გამოიჩინეს როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა, სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებულ 42 საქმეზე განახორციელა სასამართლო მონიტორინგი[40], მათ შორის, მოამზადა 1 შუალედური[41] და 1 შემაჯამებელი ანგარიში, ასევე - რამდენიმე ანალიტიკური დოკუმენტი[42].

საქმეთა მონიტორინგისა და ანალიზის შედეგად, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეებში, 2021 წელსაც გამოვლინდა მთელი რიგი ხარვეზები, სხვადასხვა მიმართულებით, როგორიცაა: კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ გასამართლების უფლება, საზოგადოებრივი ნდობა სისხლის სამართლის სისტემის მიმართ, საჯარო განხილვის უფლება, უდანაშაულობის პრეზუმფცია, პატივისა და ღირსების უფლება, მსჯავრდებულის/ბრალდებულის ჯანმრთელობის დაცვის უფლება, თავისუფლების უფლება, მხარეთა თანასწორობა, გონივრულ ვადაში გასამართლების უფლება, დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილების უფლება, სასამართლო სხდომებზე ბრალდებულის დასწრების უფლება, შერჩევითი სამართალი და პოლიტიკური მოტივები. აგრეთვე, სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ქმედებები, რაც, პირველ რიგში, გამოიხატება მოშიმშილე პატიმრის და პაციენტის უფლებების უხეშ დარღვევაში *(მიხეილ სააკაშვილი საქმე)*, შესაძლოა, შეფასდეს, როგორც პატიმრის მიმართ არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა.

---

39 იხ. დეგნანი: ახლა კიდევ 4 მოსამართლეა არაგამჭვირვალე პროცესით უვადოდ დანიშნული [02/12/2021]: https://bit.ly/3p9hMn7

40 იხ. 42 სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმე ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ქვეშ: http://www.hrc.ge/333/geo/

41 იხ. სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგის შუალედური ანგარიში, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2021.: https://bit.ly/3e7utlZ

42 იხ. 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული საქმეები - პოლიტიკური მართლმსაჯულება და სადავო ამნისტია, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2021.: https://bit.ly/32bHq23; იხ. გონივრულ ვადაში გასამართლების უფლების შეფასება მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებში, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2021: https://bit.ly/3lQ4qeA, ასევე, იხ. სამართლიანი სასამართლოს უფლება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებში, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2021. https://bit.ly/3mfLGVe

2021 წლის 1 ოქტომბერს მიხეილ სააკაშვილის დაკავების შემდეგ, საქართველოს ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მკვეთრად პრობლემური იყო, რაც მისთვის სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვასა და გამოცხადებული შიმშილობის ფონზე ადეკვატურ სამედიცინო მომსახურებაზე უარს უკავშირდებოდა. გაჩნდა ეჭვები, რომ მიხეილ სააკაშვილის მიმართ ქართული მართლმსაჯულების სისტემა დამოუკიდებელი და სამართლიანი ვერ იქნება, რაც არღვევს არა მხოლოდ ინდივიდუალური პირის უფლებებს, არამედ, ასევე, ხელს უშლის საზოგადოებრივ შეთანხმებას, რაც პოლიტიკური პოლარიზებისა და შიდა დონეზე არსებული კონფლიქტების დამატებითი მიზეზია.

თავდაპირველად მიხეილ სააკაშვილს არ ეძლეოდა შესაძლებლობა, დასწრებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოში მის წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო სხდომებს. სპეციალური პენიტენციური სამსახური არ უზრუნველყოფდა მის მიყვანას სასამართლო სხდომის დარბაზში, ამის მიზეზად კი უსაფრთხოების რისკებს და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მიმდინარე გამოძიებას ასახელებდა[43].

სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით ოთხი ვიდეოჩანაწერი გაავრცელა. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა, სპეციალური პენიტენციური სამსახურისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ, მიხეილ სააკაშვილის პერსონალური მონაცემების მოპოვებისა და გასაჯაროების კანონიერება შეისწავლა და დაადგინა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ნორმების დარღვევა არაერთ ეპიზოდზე, ხოლო უწყებები ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევებად სცნო[44]. აგრეთვე, სახელმწიფო ინსპექტორმა იძულებითი შესახლების ვიდეოჩანაწერის გამოქვეყნება მიიჩნია მონაცემთა სუბიექტის ღირსების შემლახავი ფორმით მონაცემების დამუშავებად[45].

ამასთან, მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებში, რომელთა წარმოებაც თითქმის 7 წელია, დაწყებულია, წლების განმავლობაში პრობლემად რჩება სასამართლო სხდომების გაჭიანურება, რაც ზიანს აყენებს სასამართლო სისტემის რეპუტაციას, მართლმსაჯულების ეფექტიანობას, ზოგადად, მის მიმართ საზოგადოების ნდობას და არღვევს გონივრულ ვადაში გასამართლების უფლების მოთხოვნას. გონივრულ დროში გასამართლების უფლება ათავისუფლებს სასამართლო პროცესის მოლოდინში მყოფ პირებს ხანგრძლივი გაურკვევლობისგან. გარდა

---

43 იხ. სპეციალური პენიტენციური სამსახურის 10.11.2021 წ. განცხადება: https://bit.ly/3e9OJJT

44 იხ. „სახელმწიფო ინსპექტორის გადაწყვეტილება საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პერსონალური მონაცემების მოპოვებისა და გასაჯაროების კანონიერების შესახებ“ [07/12/2021]: https://bit.ly/31FVQai

45 *იქვე.*

ამისა, ეს უფლება ბრალდებულის თავისუფლების შემზღუდველი იმ ღონისძიებების მინიმიზაციას უწყობს ხელს, რომლებიც სასამართლო განხილვის მიზნებისთვის გამოიყენება[46].

ყოფილ მაღალჩინოსანთა, ოპოზიციური პარტიების, მედიაორგანიზაციების წარმომადგენლების (ნიკა გვარამიას, ტვ „პირველის“ და სხვ.) და სამოქალაქო აქტივისტების წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით, მწვავე პრობლემა იყო ისეთი შემთხვევები, როცა ხელისუფლების წარმომადგენლები სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე საუბრობდნენ ბრალდებულთა ბრალეულობის შესახებ, რითაც განგრძობითად არღვევდნენ უდანაშაულობის პრეზუმფციას, რაც ხელს უწყობდა ბრალდებული პირების საზოგადოების თვალში დამნაშავედ წარმოჩენას. ამასთან, ასეთი განცხადებები, ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენდა საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე პროკურატურის მიუკერძოებლობისა და პოლიტიკური ნეიტრალურობის შესახებ.

სამოქალაქო აქტივისტების/დემონსტრანტების/ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა/დაკავების საქმეებზე, სასამართლოში ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნა პირთა სამართალდამრღვევად ცნობის შესახებ, დაუსაბუთებელი და შაბლონური იყო; მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების თითქმის 100% პოლიციელი მოწმეების ჩვენება იყო, რასაც სასამართლო პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საკმარის მტკიცებულებებად მიიჩნევდა.

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები

- <u>წინასაარჩევნო გარემო</u>

2021 წლის 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში შემაშფოთებელ ტენდენციად გამოიკვეთა, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ოპოზიციურ კანდიდატებზე სავარაუდო ზეწოლისა და მათი დაშინების ფაქტები. საქართველოს სახალხო დამცველის ინფორმაციით, წინასაარჩევნო პერიოდში, სავარაუდოდ, 59 ოპოზიციური კანდიდატის მიმართ განხორციელდა ზეწოლა, მათი მხრიდან კანდიდატურების მოხსნის მიზნით, მათ შორის - ფიზიკური ანგარიშსწორების, ოჯახის წევრებისა და ახლობლების უსაფრთხოების ხელყოფისა და მათი სამსახურიდან გაშვების

[46] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება მიხეილ სააკაშვილის პატიმრობისა და მის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლისსამართლებრივი დევნის თაობაზე: https://bit.ly/3Egtr7X

მუქარის გზით. ამ ფაქტების შესახებ კანდიდატები ერიდებოდნენ საჯაროდ საუბარს, რაც, სავარაუდოდ, მიუთითებდა მათ მიმართ განხორციელებული მუქარების აღსრულების რეალურ საფრთხეზე[47].

მასშტაბური სახე ჰქონდა სავარაუდო პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლებისა და შევიწროების შემთხვევებს, ყოფილი პრემიერ მინისტრის, გიორგი გახარიას მიერ დაარსებულ ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიასთან აფილირების გამო[48]. სამსახურებრივი ზეწოლა, ძირითადად, საჯარო უწყებებში დასაქმებული პირების წინააღმდეგ ხორციელდებოდა, რაც გასული წლების ტენდენციების მსგავსად, კვლავ წარმოაჩენს სახელმწიფოსა და მმართველ პარტიას შორის ზღვრის წაშლის პრობლემას და სახელმწიფო ინსტიტუტების მმართველ პარტიასთან გაიგივებას.

წინასაარჩევნო პერიოდში გამოვლინდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მოქმედი მერები იმავდროულად წარმოადგენდნენ მერობის კანდიდატებს[49]. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი კანონმდებლობით, ეს არ არის აკრძალული, პრობლემას წარმოადგენდა ადმინისტრაციული რესურსის უკანონოდ გამოყენების მასშტაბური შემთხვევები, რაც ხელისუფლებასა და პარტიას შორის ზღვარს კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდიდა. ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტი, რომელიც საქართველოსთვისაც სავალდებულოა, მოითხოვს, რომ „სახელმწიფო და პოლიტიკური პარტიები ერთმანეთისგან ცხადად გაიმიჯნოს“[50].

არჩევნების მოახლოებასთან ერთად, იმატა ძალადობრივმა ინციდენტებმაც. მაგალითად, 2021 წლის 20 სექტემბერს, ქალაქ რუსთავში თავს დაესხნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერს[51], ხოლო 21 სექტემბერს ქვემო ქართლში, დმანისის მუნიციპალიტეტში, პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ორი მხარდამჭერი ცივი იარაღით დაჭრეს[52]. 25 სექტემბერს ცაგერის მუნიციპალიტეტში უცნობმა ადამიანებმა „გახარია-საქართველოსთვის“ მერობის კანდიდატის მანქანა ცეცხლსასროლი იარაღით დაცხრილეს[53]. ასევე, განსაკუთრებით მწვავე პრობლემა იყო წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის პროცესში საჯარო მოხელეებისა და საჯარო სკოლებში დასაქმებული პირების იძულებით ჩართვა. ამასთან,

---

47 იხ. საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება: https://bit.ly/3b61a81

48 იხ. 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მონიტორინგი, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2021.: https://bit.ly/3pc7P8C

49 იხ. წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგი, ადამიანის უფლებათა ცენტრის ძირითადი მიგნებები, 2021.: https://bit.ly/3FfSedL

50 იხ. Organization for Security and Co-operation in Europe, Document of the Copenhagen Meeting of the Conference on the Human Dimension of the CSCE (Copenhagen: Organization for Security and Co-operation in Europe, 1990), para 5.4.: https://bit.ly/3JfOfk3

51 იხ. რადიო თავისუფლების სტატია [21/09/2021].: https://bit.ly/3253jjJ

52 იხ. „დმანისში დაპირისპირებისას ორი პირი ცივი იარაღით დაჭრეს“ [21/09/2021]: https://bit.ly/3mlMlEm

53 იხ. „ჩემი მანქანა დაცხრილეს — ცაგერის მერობის კანდიდატი გახარიას პარტიიდან“ [25/09/2021]: https://bit.ly/3qct5uk

წინასაარჩევნო პერიოდში სრულად იყო იგნორირებული რეგიონებისა და ქალაქების რეალური გამოწვევები და საჭიროებები.

- <u>პანდემიის პირობებში ჩატარებული არჩევნები</u>

ახალი კორონავირუსის - COVID-19-ის გავრცელებით გამოწვეულმა პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე, მათ შორის - დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ისეთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტზე, როგორიცაა არჩევნები.

საქართველოში, 2021 წლის 2 ოქტომბერს, კორონავირუსის პანდემიის პირობებში არჩევნები მეორედ ჩატარდა. მიუხედავად ვაქცინაციის პროცესის მიმდინარეობისა, წელსაც, მსოფლიოს სხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველოში არჩევნების ჩატარება უდიდეს გამოწვევას წარმოადგენდა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვასა და მოქალაქეთა ხმის მიცემის უფლების უზრუნველყოფას შორის ბალანსის დაცვის კუთხით.

2021 წლის 1 ოქტომბრის მონაცემებით, საქართველოში ბოლო დღე-ღამეში ინფიცირებულთა რაოდენობა 1.751-ით გაიზარდა, გარდაიცვალა 30 ადამიანი. არჩევნებამდე ერთი დღით ადრე, ქვეყანაში კოვიდ ინფიცირების 19.057 აქტიური შემთხვევა იყო, კოვიდ-კლინიკებში კი - 4.169 პაციენტი იმყოფებოდა[54].

კოვიდ პანდემიის პირობებში არჩევნების უსაფრთხო გარემოში ჩატარებისთვის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მნიშვნელოვნად დაეხმარა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების გამოცდილება, რომელიც, დადებითად შეფასდა როგორც ადგილობრივი[55], ისე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ[56]. ამავდროულად, მიუხედავად არსებული რეგულაციებისა, ბევრ საარჩევნო უბანზე დაცული არ იყო პანდემიის გავრცელების პრევენციისათვის საჭირო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები[57].

- <u>დაროვევები არჩევნების დღეს</u>

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დღეს არაერთი საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაფიქსირდა სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირების ფაქტები, რამაც ზოგიერთ უბანზე კენჭისყრის

---

54 იხ. დეტალური ინფორმაცია კორონავირუსით ინფიცირებულთა შესახებ: https://stopcov.ge/

55 იხ. 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგი, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020, გ.გ. 21-25.: https://bit.ly/3pxnvE3

56 იხ. ევროს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი შეზღუდული სადამკვირვებლო მისია საქართველოში, საპარლამენტო არჩევნები, 31 ოქტომბერი, 2020: https://bit.ly/32ckKi3

57 იხ. 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მონიტორინგი, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2021, გვ.45.: https://bit.ly/3pc7P8C

პროცესის შეფერხებაც გამოიწვია; გამოვლინდა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლების მიმართ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტები და მუქარის შემთხვევები; კონკრეტულ შემთხვევებში, მათ არ ეძლეოდათ ფოტო-ვიდეო გადაღების, ასევე საჩივრის დარეგისტრირების შესაძლებლობა; დაფიქსირდა დამკვირვებლებისა და ჟურნალისტებისთვის საქმიანობაში ხელის შეშლის არაერთი შემთხვევა.

დაკვირვების შედეგად გამოვლინდა არაერთი ფაქტი, რა დროსაც, საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე მობილიზებული იყვნენ მმართველი პარტიის კოორდინატორები და აგიტატორები და აღრიცხავდნენ ამომრჩევლებს. მათ უკანონო ქმედებებზე არ ხორციელდებოდა სათანადო მონიტორინგი, კონტროლი და რეაგირება სახელმწიფო უწყებების მხრიდან, მიუხედავად იმისა, რომ ეს კანონით უშუალოდ ევალებოდა შინაგან საქმეთა სამინიტროს. თავის მხრივ, პოლიციისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ჰქონდათ საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებს, რომელთა უბნის უშუალო სიახლოვეს მიმდინარეობდა ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლენის ხელშემშლელი და ჯანსაღი საარჩევნო პროცესის დამაზიანებელი მოქმედებები. თუმცა, უმრავლეს შემთხვევებში, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეები თავს იკავებდნენ პოლიციისთვის მსგავსი შეტყობინების მიწოდებისგან და აცხადებდნენ, რომ ამ ფაქტებზე რეაგირება არ მიეკუთვნებოდა მათ უფლებამოსილებას. ასეთი შემთხვევები გამოვლინდა უბნიდან 100-მეტრიან რადიუსშიც, რაც სამართალდარღვევას წარმოადგენს. თუმცა, ასეთ შემთხვევებზე რეაგირების მიზნით გამოძახებული სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები ხშირ შემთხვევაში არასათანადოდ, ზოგჯერ კი - საერთოდ არ რეაგირებდნენ[58]. აგრეთვე, ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ გამოვლინდა კენჭისყრის ფარულობის დარღვევის ფაქტები და საეჭვო რეპუტაციის სადამკვირვებლო ორგანიზაციები, რომლებიც ამომრჩეველთა ქცევაზე ზეგავლენის მოხდენას ცდილობდნენ[59].

- <u>საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების შეფასება</u>

ეუთო/ოდირის პირველადი შეფასებით, არჩევნები ტექნიკურ დონეზე კარგად იყო ადმინისტრირებული, მაგრამ [საარჩევნო] გარემო დააზიანა ფართოდ გავრცელებულმა და განმეორებითმა საჩივრებმა დაშინების, ხმების

[58] იხ. 1) 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მონიტორინგი, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2021, გვ.53-56.: https://bit.ly/3pc7P8C; 2) 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის I შუალედური ანგარიში, საია, გვ. 11-12.: https://bit.ly/3mEXWPl 3) 2021 წლის აადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის II შუალედური ანგარიში, საია. გვ. 33-37: https://bit.ly/3eacjXc; 4) 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის III შუალედური ანგარიში, საია გვ. 13.: https://bit.ly/3FdFt3s

[59] იხ. 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მონიტორინგი, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2021, გვ.57.: https://bit.ly/3pc7P8C

მოსყიდვის, კანდიდატებსა და ამომრჩევლებზე ზეწოლის, მოქალაქე დამკვირვებლების პარტიის წარმომადგენლებად არასათანადო გამოყენებისა და არათანაბარი სამოქმედო პირობების შესახებ, მათ შორის, წინასაარჩევნო პერიოდშიც[60].

აშშ-ის საელჩომ წუხილი გამოთქვა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა პოლარიზებული მედიაგარემო, რესურსების მნიშვნელოვანი დისბალანსი, კამპანიის ფინანსებზე არასაკმარისი ზედამხედველობა, ქალთა ნაკლები წარმომადგენლობა კამპანიაში, ცნობები ადმინისტრაციული რესურსების არასათანადოდ გამოყენებისა და ჟურნალისტებზე ზეწოლის შესახებ. ამასთან, აშშ-ის საელჩომ განაცხადა, რომ სახელმწიფოსა და პარტიულ რესურსებს შორის წაშლილი ზღვარი ღრმად შემაშფოთებელი იყო; ადმინისტრაციული რესურსების არასათანადოდ გამოყენების შესახებ მნიშვნელოვანმა ცნობებმა წარმოშვა ეჭვი არჩევნების ზოგადი სამართლიანობის შესახებ; ბევრ ქალაქსა და სოფელში მასწავლებლების, სამართალდამცველებისა და საჯარო სექტორის თანამშრომლების მიმართ ზეწოლამ, მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ხელი შეუშალა მათ თავისუფალი არჩევნის გამოხატვაში არჩევნების დღეს. ასეთი ტიპის დარღვევებს ხშირად ჰქონია ადგილი საქართველოს არჩევნებში, რაც სრულად შეუთავსებელია საქართველოს ევროატლანტიკურ იდეალებთან[61].

ევროკავშირის განცხადებით, არჩევნები ზოგადად კარგად იყო ადმინისტრირებული, მაგრამ გამძაფრებული პოლარიზაციით ხასიათდებოდა. საარჩევნო სუბიექტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, საარჩევნო კამპანია თავისუფლად და კონკურენტულ გარემოში წარემართათ და არჩევნების დღე მოწესრიგებულად და გამჭვირვალედ მიმდინარეობდა. ევროკავშირმა ასევე ხაზი გაუსვა მნიშვნელოვან ხარვეზებს, განსაკუთრებით დაშინების, ამომრჩეველთა მოსყიდვისა და კანდიდატებსა და ამომრჩევლებზე განხორციელებული ზეწოლის ფაქტების შესახებ ფართოდ გავრცელებულ და თანმიმდევრულ განცხადებებს და არათანასწორ საასპარეზო პირობებს. გარდა ამისა, რესურსებს შორის მნიშვნელოვანი დისბალანსი, კამპანიის დაფინასების არასაკმარისი მონიტორინგი და ხელისუფლებაში ყოფნით მინიჭებული უპირატესობა მმართველ პარტიას აძლევდა ხელს. საარჩევნო კამპანიაში ქალთა არასაკმარისი წარმომადგენლობა ადასტურებს, რომ საჭიროა უფრო მეტი ვალდებულების აღება პოლიტიკაში ადეკვატური წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად[62].

---

60 იხ. ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/3mk3Jt7

61 იხ. აშშ-ის საელჩოს განცხადება 2021 წლის მუნიციპალური არჩევნების შესახებ [04/10/2021]: https://bit.ly/32oCxTe

62 იხ. ევროკავშირის წარმომადგენლობა 2 ოქტომბრის არჩევნების შესახებ განცხადებას აქვეყნებს [04/10/2021]: https://bit.ly/3Fcqmah

შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება

წლის განმავლობაში გამოვლინდა მოქალაქეთა შეკრების უფლების რეალიზებაში ხელშეშლის მასშტაბური შემთხვევები, მათთვის გადაადგილების შეზღუდვის გზით; ასევე ადგილი ჰქონდა შეკრების მონაწილეებისათვის სამართალდამცავი პირების მხრიდან კარვის განთავსებაში ხელშეშლის ფაქტებს. კვლავ პრობლემური იყო სამართალდამცავი პირების მიერ შეკრების მონაწილეთა წვრილმანი ხულიგნობისა და სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობის გამო დაკავების მავნე პრაქტიკა, რაც უმეტესად ვერ პასუხობს აუცილებლობის მოთხოვნას და შეკრების თავისუფლებაში დაუსაბუთებელ ჩარევას წარმოადგენს. ამის პარალელურად, ხელისუფლება ძალადობრივი ჯგუფების მიერ ორგანიზებული აქციების მიმართ მეტად შემწყნარებლურ პოლიტიკას ატარებდა. 2021 წლის 5-6 ივლისს, თბილისში ძალადობრივი ჯგუფების მიერ გამართული მასშტაბური კონტრაქციისას, სახელმწიფომ მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულება არ შეასრულა, რაც მძიმე შედეგებით დასრულდა, მათ შორის 54 ჟურნალისტმა ჯანმრთელობის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანება მიიღო[63].

შეკრება/მანიფესტაციის თავისუფლების რეალიზაციის კუთხით მიმდინარე მონიტორინგის შედეგად, პრობლემურ საკითხებად გამოიკვეთა სამართალდამცავთა მხრიდან შეკრების მსვლელობისას დროებითი კონსტრუქციების განთავსების შესაძლებლობის შეზღუდვა და შეკრების არასათანადო და არაეფექტიანი მართვა; აგრეთვე, ტრანსპორტის სავალი ნაწილის გადაკეტვის შეუძლებლობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ხარვეზი[64] - სამართალდამცავებმა არ მისცეს მომიტინგეებს დროებითი კონსტრუქციების დადგმის შესაძლებლობა, როგორიც არის: კარვები, დასაკეცი საწოლები ან ბანერები და ძალაუფლების გადამეტებით დააკავეს ის პირები, რომლებიც ცდილობდნენ ამის გაკეთებას.

სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები შეკრებისა და მანიფესტაციების უფლების საწინააღმდეგოდ აქტიურად განაგრძობენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული მექანიზმების გამოყენებას აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ, ძირითადად - მათი დისკრედიტაციის, დაშინებისა და საპროტესტო აქციებისათვის ზიანის მიყენების მიზნით.

---

[63] იხ: 2021 წლის 5-6 ივლისის საპროტესტო აქციების მონიტორინგის ანგარიში - პირველადი სამართლებრივი შეფასება, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2021.: https://bit.ly/32d7UzT

[64] იხ. „აკრძალული უფლება - დროებითი კონსტრუქციებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენების საკანონმდებლო სტანდარტები და პრაქტიკაში რეალიზაციის პრობლემები", ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2021 წ.: https://bit.ly/3jtKddi

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ქვეშ არსებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების სასამართლო პროცესები აჩვენებს, რომ მშვიდობიანი შეკრების მონაწილეებს, ძირითადად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა), 173-ე (სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისათვის დაუმორჩილებლობა) და 150-ე (თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯება) მუხლების საფუძველზე აკავებენ. ამ მუხლების გამოყენებით შეკრებისა და გამოხატვის უფლების შეზღუდვის შემთხვევები წლების განმავლობაში დოკუმენტირებულია, მათ შორის - ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ[65].

ზემოაღნიშნულ პრობლემას მეტად ამწვავებს ის ფაქტი, რომ დღეისათვის საქართველოში მოქმედებს 1984 წელს მიღებული, საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს სამართლიანი პროცესის მოთხოვნებს და თითოეული ხელისუფლების მიერ გამოიყენება მშვიდობიანი შეკრებისა და გამოხატვის უფლების არამართლზომიერად შესაზღუდად. კოდექსი აწესებს გაცილებით ნაკლებ პროცედურულ გარანტიებს, ვიდრე სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ პირს გააჩნია - არ ითვალისწინებს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის, უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვას, რიგ საპროცესო უფლებებს და სხვა. ამასთან, ცალკეული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის აწესებს ისეთ მძიმე სახდელს, როგორიცაა ადმინისტრაციული პატიმრობა[66].

აღსანიშნია, რომ მსგავს ფაქტებს რეგულარული ხასიათი აქვს, მიუხედავად იმისა, რომ დროებითი კონსტრუქციების დადგმის უფლება დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებით[67], საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებითა[68] და ეუთო/ოდირის სახელმძღვანელო პრინციპებით[69]. აგრეთვე, გამოვლინდა არაპროპორციული შეზღუდვები გადაადგილების თავისუფლების მიმართ; პროტესტის ორგანიზატორთა და დემონსტრანტების ძალაუფლების გადამეტებით დაკავებისა და დაჯარიმების მასშტაბური შემთხვევები.

---

65 იხ. საპროტესტო აქციების მონიტორინგი - შუალედური ანგარიში, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2021.: https://bit.ly/3qebxxE; იხ. ადმინისტრაციული შეცდომა ქართული სამართალშემოქმედების ჩრდილქვეშ, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2021.: https://bit.ly/3ylY7lV; ასევე, იხ. საპროტესტო აქციების მონიტორინგის შედეგები - შემაჯამებელი ანგარიში, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020: https://bit.ly/3pcbh37

66 იხ. სამართლიანი სასამართლოს უფლება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებში, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2021.: https://bit.ly/3GX8noT

67 იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმე: ECHR, Tabernacle v Secretary of State for Defence, 5 February 2009: https://bit.ly/3p7V0fA

68 იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილება, საქმე №3/6463-16.

69 იხ. ეუთო/ოდირის სახელმძღვანელო პრინციპები მშვიდობიანი შეკრების შესახებ, §18, 2010.: https://bit.ly/3jVlptp

თანასწორობის უფლება

2021 წელს თანასწორობის უფლების დაცვის მხრივ მდგომარეობა კვლავ კრიტიკული იყო. სამწუხაროდ, ქალების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ლგბტ+ თემის წარმომადგენლების თუ არადომინანტური რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების უფლებრივი მდგომარეობა არც ამ წელს გაუმჯობესებულა. სახელმწიფოს მხრიდან, მთელი რიგი პოზიტიური ვალდებულებების შეუსრულებლობა აძლიერებს საზოგადოებაში არასწორი სტერეოტიპებით წარმოშობილ სტიგმასა და დისკრიმინაციას.

2021 წელი განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფისთვის და უმცირესობებისთვის. მიუხედავად ამისა, ამ ჯგუფების საჭიროებები და მათი უფლებების დაცვა არც პოლიტიკურ პარტიათა წინაასარჩევნო პროგრამებში და არც საარჩევნო კამპანიის დღის წესრიგში არ მოხვედრილა.

- <u>ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა</u>

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა წელსაც მსოფლიოში დიდ გამოწვევად რჩება. ამასვე მოწმობს, Covid 19-ით გამოწვეული პანდემიის პირობებში, მსოფლიოს მასშტაბით, ოჯახში ძალადობის შემთხვევების ერთ მესამედზე მეტით გაზრდაც.

საქართველოში ახალი კორონავირუსის პანდემიამ არაპროპორციული გავლენა მოახდინა ქალებსა და გოგონებზე; შემცირდა ქალების წვდომა ჯანდაცვის სერვისებზე, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების ჩათვლით. ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევებზე პრობლემად რჩება როგორც პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, ისე კონკრეტული შემთხვევების ეფექტიანად მართვა. ოჯახში ძალადობის და ქალთა მიმართ ძალადობის მიმართულებით პრობლემად რჩება ეფექტიანი პრევენციული ღონისძიებების გატარება, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სისტემის გაუმჯობესება და ქალთა ეკონომიკური დამოუკიდებლობის შესაძლებლობების შექმნა. ამის ნათელი მაგალითია ქობულეთში მომხდარი ტრაგედია. 2020 წლის ივნისსა და დეკემბერში 13 წლის გოგო მასზე 10 წლით უფროსმა მამაკაცმა გააუპატიურა. დეკემბერში საქმეზე გამოძიება დაიწყო, მაგრამ დამნაშავე პასუხისგებაში არ მიცემულა. 2021 წლის 9 თებერვალს კი 14 წლის გოგონა ჩამომხრჩვალი იპოვეს[70]. სამართალდამცავებმა მამაკაცი მხოლოდ ამ ფაქტის შემდეგ დააკავეს. კვლავ გრძელდება მანკიერი პრაქტიკა, რომლის თანახმად, საგამოძიებო უწყება სექსუალური ძალადობის დასადასტურებლად ითხოვს

[70] იხ. არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება ქობულეთში მომხდარ ტრაგედიაზე: https://bit.ly/3e6VM6c

მტკიცებულებების ხისტ, შეუსაბამოდ მაღალ და დისკრიმინაციულ სტანდარტს, რაც ფაქტობრივად გამორიცხავს ამგვარი დანაშაულების უდიდეს უმეტესობაში დამნაშავის დასჯის შესაძლებლობას.

ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის კვლავ პრობლემურია სახელმწიფოს მხრიდან სათანადო სერვისების მიწოდება. ოჯახში ძალადობის მსხვერპლები, განსაკუთრებით - რეგიონებში, მუდმივად მიუთითებენ ფსიქოლოგიური დახმარების არარსებობაზე[71]. სათანადო სერვისის შეთავაზების გარეშე დარჩენილი მსხვერპლები კი, იძულებულნი ხდებიან, დაუბრუნდნენ მოძალადეს, ან გარკვეული პერიოდი გაატარონ თავშესაფარში, რომლის შემდეგაც, ეკონომიკური პრობლემების გამო, შესაძლოა, ქუჩაში ცხოვრება მოუწიოთ.

კვლავ საგანგაშოა ფემიციდის სტატისტიკა, 2021 წლის 9 თვის განმავლობაში (იანვარი - სექტემბერი) 13 ქალის მკვლელობის ფაქტი დაფიქსირდა, საიდანაც 5 შემთხვევაში ოჯახური დანაშაულის ნიშანი გამოიკვეთა, ხოლო 8 შემთხვევაში - სხვა მოტივი. მიმდინარე წელს, ასევე 20 ქალის მკვლელობის მცდელობის ფაქტი დაფიქსირდა, რომელთაგანაც ოჯახური დანაშაულის ნიშნით 11 ფაქტი იყო ჩადენილი[72].

ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა როგორც მთავრობის[73], ისე საქართველოს პროკურატურის[74] ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. ამ სახის დანაშაულების პრევენციის მიზნით ბოლო წლებში გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, არსებული სიტუაციის ანალიზი და საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციების შეფასებები ცხადყოფს, რომ პროკურატურისთვის კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ამ კატეგორიის დანაშაულებზე ეფექტიანი და სრულყოფილი სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება. პროკურორებისთვის კვლავაც სირთულეს წარმოადგენს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის დანაშაულის შემთხვევებში გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის მოტივის გამოკვეთა. ამის მიზეზი, ხშირ შემთხვევაში, პროკურატურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ნაკლებობაა. ამ მხრივ, სისტემისთვის კვლავ პრობლემად რჩება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობაზე სპეციალიზებული პროკურორების არასაკმარისი რაოდენობა.

---

71 იხ. თანასწორობის კოალიციის წევრი ორგანიზაციების ანგარიში „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (CEDAW) 2021 წლის 81-ე სესიაზე წარსადგენად“, 2021: https://bit.ly/3psrQa5.

72 იხ. ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/3sli6kH

73 იხ. შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი: https://bit.ly/3EkzAA3

74 იხ. საქართველოს პროკურატურის ოფიციალური ვებგვერდი: https://bit.ly/3ssl0UY; ამასთან, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს პროკურატურის 2017-2021 წლების სტრატეგიით ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად არის განსაზღვრული: https://bit.ly/3H3B2bW

2021 წლის 11 ნოემბერს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის გაეროს კომიტეტმა (CEDAW) ხანუმ ჯეირანოვას საქმეზე საკუთარი მოსაზრება გამოაქვეყნა. საქმეზე მსჯელობის შედეგად, კომიტეტმა დაადგინა, რომ საქართველომ ვერ უზრუნველყო გამოძიება და სამართლებრივი დევნა ქალის მიმართ გენდერული ნიშნით და ღირსების სახელით ჩადენილ ძალადობასთან დაკავშირებით - ქალი სასტიკად სცემეს ოჯახის წევრებმა მცირეწლოვანი შვილების თვალწინ, რამაც მისი სიკვდილი გამოიწვია. საქართველოს ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო ხანუმ ჯეირანოვაზე მოძალადე პირების დაკავება და პასუხისგებაში მიცემა. კომიტეტის წევრის, გენოვევა ტიშევას განცხადებით: *„ქალბატონი ჯეირანოვა გახდა ეთნიკურ კუთვნილებასთან და პოლიციისა და სასამართლო სისტემის სტერეოტიპულ დამოკიდებულებებთან დაკავშირებული ინტერსექციული დისკრიმინაციის მსხვერპლი“.* მისივე შეფასებით, საქართველოს ხელისუფლებას სათანადოდ რომ დაეცვა ქალბატონი ჯეირანოვა გენდერული ძალადობისგან, იგი დღეს ცოცხალი იქნებოდა. მსჯელობის შედეგად, კომიტეტმა დაასკვნა, რომ საქართველომ დაარღვია ვალდებულება, გამოიძიოს და დასაჯოს მსხვერპლზე თავდასხმასა და მის გარდაცვალებაზე პასუხისმგებელი პირები[75].

- <u>ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა</u>

საქართველოში, ბავშვის უფლებების დაცვის მიმართულებით, მუდმივად არსებობდა სისტემური პრობლემები, რომელთა აღმოსაფხვრელად და ბავშვის უფლებების დაცვის ეფექტიანი სისტემის შესაქმნელად სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯები არათანმიმდევრული და არასაკმარისია. ამ მიმართულებით, განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე ქვეყანა Covid-19–ის პანდემიის დროს აღმოჩნდა. პანდემიამ რიგი სისტემური პრობლემების ლუსტრაცია მოახდინა. უკიდურესად გაიზარდა ბავშვთა მიმართ ძალადობის, მათ შორის - უგულებელყოფის და ბავშვთა სიღარიბის რისკები. განსაკუთრებულ გამოწვევას წარმოადგენს ოჯახში ძალადობისა და ბავშვთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების ლატენტური ხასიათი; სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, ასეთ დანაშაულთა უმეტესი ნაწილი დაფარულია და შესაბამისი ორგანოების მიერ სათანადო რეაგირების გარეშე რჩება.

ქვეყანაში, პერმანენტულად, საფრთხის ქვეშაა არასრულწლოვნების ფსიქიკური ჯანმრთელობა, განსაკუთრებით - იმ ფონზე, როცა წლების განმავლობაში პრობლემად რჩება ოჯახში ძალადობის, მასზე სისტემური უმოქმედობის, კვალიფიკაციის ნაკლებობის პრობლემები და ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა სათანადო სარეაბილიტაციო სერვისებზე წვდომა.

[75] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრისა და „საფარის“ ერთობლივი განცხადება CEDAW-ს მიერ ხანუმ ჯეირანოვას საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით [15.11.2021]: https://bit.ly/3H4ivfG

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას ბავშვი მშობლებისა თუ მასზე მზრუნველი ნებისმიერი სხვა ადამიანის მხრიდან ძალადობის, შეურაცხყოფისა და უგულებელყოფისგან, ეს პრობლემები გადაუჭრელია და ყოველ ინდივიდუალურ საქმეში, კიდევ უფრო მსუსხავი ეფექტის მქონეა ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით.

ამასთან, ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც ეხება საქართველოს პარლამენტის, მთავრობის და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობას, განსაკუთრებით კი მათ მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესს, ჯერ კიდევ ვერ პასუხობს შესაბამის გარანტიებს ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების დროული და ეფექტური გადაწყვეტისთვის. აღნიშნული პრობლემები კი, პირდაპირ ზეგავლენას ახდენს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვასა და მის მისაღწევად გასატარებელ ღონისძიებებზე.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოსთვის ბავშვის უფლებების დაცვა ერთ-ერთ პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს, უკიდურესად დაბალია იმ პროფესიონალების რიცხვი, ვისაც პირველ რიგში ევალება ბავშვის უფლებების დარღვევის ფაქტებზე რეაგირება. ამასთან, მცირეა სოციალური მუშაკების რიცხვი. გარდა ზემოაღნიშნულისა, კვლავ გამოწვევად რჩება ბავშვთა სუიციდის პრევენცია, ხოლო მის გამომწვევ რისკ-ფაქტორებს შორის ბევრი დღემდე გადაუჭრელი სისტემური პრობლემაა.

სახალხო დამცველის აპარატი, წლებია, მიუთითებს, რომ საქართველოში არ არსებობს ბავშვებში სუიციდის რისკის შეფასებისა და გამოვლენის მეთოდოლოგიური დოკუმენტი და კონკრეტული ინსტრუმენტი, რომელიც სოციალურ მუშაკებს, სამართლადამცავი უწყების თანამშრომლებსა და სკოლების წარმომადგენლებს საშუალებას მისცემდა, კონკრეტულ ინდიკატორებზე დაყრდნობით, შეეფასებინათ ბავშვებში სუიციდის რისკები. მულტიდისციპლინური მიდგომის საფუძველზე კონკრეტული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა დღემდე არ მიუღია სახელმწიფოს[76]. არსებული პრობლემების ერთ-ერთი ტრაგიკული მაგალითია ქობულეთში 14 წლის გოგოს თვითმკვლელობის ფაქტი, რომელიც მთელ რიგ სისტემურ პრობლემებს აშიშვლებს.

2021 წელს განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ა(ა)იპ ჯავახეთის ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონის აღსაზრდელთა არაერთი უფლებადარღვევისა და მათ მიმართ სავარაუდო ძალადობის ფაქტებმა, რომლებიც კიდევ ერთხელ, ცალსახად

[76] იხ. სახალხო დამცველის განცხადება: https://bit.ly/3efOAor; ასევე, იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2020 წელი: https://bit.ly/3J9MfcK

მიუთითებს სახელმწიფო ზრუნვის კუთხით ქვეყანაში არსებულ უმძიმეს მდგომარეობაზე[77].

- <u>ეროვნული უმცირესობები</u>

საქართველოში ეროვნულ უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენლების უფლებრივი მდგომარეობა არც ამ წელს გაუმჯობესებულა. სამწუხაროდ, კვლავ დაბალია ეროვნული უმცირესობების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. საკონსულტაციო მექანიზმების საქმიანობას საქართველოში საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოსთან ინსტიტუციონალიზებული დიალოგის ფორმა არ აქვს. საკონსულტაციო მექანიზმების გასაძლიერებლად ქმედითი ნაბიჯების გადადგმა ისევ გადაულახავ გამოწვევას წარმოადგენს.

2021 წელს, Covid-19-ის პანდემიამ კიდევ უფრო მეტად გამოკვეთა უმცირესობათა ჯგუფების მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის არქონა, ენობრივი ბარიერები, ხარისხიან განათლებაზე ხელმიუწვდომლობა და ა.შ.

2021 წლის 15 მარტს მედია საშუალებებით[78] საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის ბაზაზე ეროვნული უმცირესობების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო შეიქმნა. ეს კი, სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან მნიშვნელოვანი კრიტიკის საფუძველი გახდა. აქტივისტებმა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებიდან დაიწყეს კამპანია სლოგანით - „მე დიასპორა არ ვარ“, რითაც სახელმწიფოს შეახსენეს მათი მოქალაქეებად დანახვის მნიშვნელობა. აგრეთვე, ნეგატიურად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ ეს საბჭო შეიქმნა უმცირესობათა ჯგუფებთან ყოველგვარი კონსულტაციების გარეშე[79].

2021 წლის მარტში საქართველოს აზერბაიჯნელი თემის წარმომადგენელი ახალგაზრდების მოთხოვნაზე[80], 21 მარტს, ერთი დღით გაუქმებულიყო ე.წ. „კომენდანტის საათი“ და მოსახლეობას შეძლებოდა ტრადიციული სახალხო დღესასწაულის [ნოვრუზის] სრულფასოვნად აღნიშვნა, საქართველოს მთავრობამ უარი განაცხადა[81]. საქართველოს მთავრობის

[77] იხ. ა(ა)იპ ჯავახეთის ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონის აღსაზრდელთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ სპეციალური ანგარიში, სახალხო დამცველი, 2021.: https://bit.ly/3ssyIHq

[78] იხ. პარლამენტში ეროვნული უმცირესობების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო შეიქმნა [15/03/2021]: https://bit.ly/3qe49Cr

[79] იხ. საზოგადოებრივი ორგანიზაციები გმობენ პარლამენტის მიერ ეთნიკური უმცირესობების დიასპორად განხილვის გადაწყვეტილებას [17/03/2021]: https://bit.ly/3paYUUO

[80] იხ. ნოვრუზის დღეს გაუქმდეს კომენდანტის საათი - აზერბაიჯანული თემის მიმართვა მთავრობას [11/03/2021]: https://bit.ly/3GXnnmH

[81] იხ. „დისკრიმინაციული კომენდანტი: როცა შობა და ფეხბურთი გამონაკლისია, ნოვრუზ ბაირამი — არა“

გადაწყვეტილებით, კოვიდ რეგულაციებიდან გამონაკლისი მხოლოდ მართლმადიდებლურ სადღესასწაულო დღეებთან მიმართებით იყო გათვალისწინებული. შემაშფოთებელი იყო ხელისუფლების წარმომადგენლების არგუმენტაცია, რომ შეღავათი მხოლოდ მართლმადიდებელი ქრისტიანებისთვის დაწესდა, რადგან ისინი საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენენ.

2021 წელს, პლატფორმა „სალამმა“ შეიმუშავა კანონპროექტი, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს მოქალაქეების გვარებიდან არაავთენტური დაბოლოებების (ოვ, ევ და სხვა) ჩამოშორებას და საკუთარი ავთენტური გვარის დაბოლოებების დაბრუნების უფლების მინიჭებას[82]. ამ ინიციატივას ადამიანის უფლებათა ცენტრი მხარს უჭერს და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად ჩართული იყო კანონპროექტის შემუშავების პროცესში. სამწუხაროდ, საქართველოს პარლამენტმა ინიციატივა სრულიად დაუსაბუთებლად არ დააკმაყოფილა. ეს გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სასამართლოში[83].

2021 წლის 16-17 მაისს, დმანისის მუნიციპალიტეტში დაპირისპირება მიმდინარეობდა, რომელიც საყოფაცხოვრებო ნიადაგზე დაიწყო, შემდგომში კი ეთნიკურ ჯგუფებს შორის მძიმე დაპირისპირებაში გადაიზარდა[84]. ამ დაპირისპირების აღმოსაფხვრელად, საპოლიციო რეაგირების მიღმა, სახელმწიფოს დმანისში არ გადაუდგამს შესაბამისი ნაბიჯები პრევენციული და თემთა შორის ნდობის აღდგენისა და თანამშრომლობის გაძლიერებისთვის, რაც სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პროცესის არქონაზე მიანიშნებს.

- <u>**რელიგიის თავისუფლება**</u>

2021 წელს, პანდემიისა და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ფონზე, განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო ხელისუფლების აშკარა დისკრიმინაციული მიდგომა სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციებისადმი და საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიისადმი განსაკუთრებული ლოიალობა.

მართლმადიდებლური ეკლესიის უმაღლესი სასულიერო პირების მთელი რიგი განცხადებები და წინასაარჩევნო პერიოდში მმართველი გუნდის სასარგებლოდ რეგიონებში მათი განსაკუთრებული აქტიურობა, პირდაპირ მიანიშნებს ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში საპატრიარქოს აქტიურ

[19/03/2021]: https://bit.ly/3sgp1tf

[82] იხ. „პლატფორმა „სალამი“ პარლამენტს გვარების დაბრუნების თაობაზე საკანონმდებლო ინიციატივას წარუდგენს“ [26/09/2021]: https://bit.ly/3yLRZF4

[83] იხ. #გვარიდამიბრუნე კამპანიის ორგანიზატორების სახელით სასამართლო დავა დაიწყო [07/12/2021]: https://bit.ly/3e9GDkE

[84] იხ. „დმანისში ფიზიკური დაპირისპირება გრძელდება“ [17/05/2021]: https://bit.ly/3Fe7wzM

ჩართულობაზე, რის სანაცვლოდ, ყოველი ხელისუფლება ე.წ. პოლიტიკურ ხარკს იხდის. ხელისუფლების მიერ სხვადასხვა დროს მინიჭებული პრივილეგიები ეხებოდა მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას, რითაც ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ დაარღვია კონსტიტუციით გარანტირებული თანასწორობისა და სეკულარიზმის პრინციპი. სახელმწიფო არღვევს სეკულარობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპებს, ლახავს არადომინანტური რელიგიური ჯგუფების უფლებებს და ავლენს უთანასწორო დამოკიდებულებას განსხვავებული რელიგიური მრწამსის ადამიანების მიმართ. ამ კუთხით, განსაკუთრებით საგანგაშო იყო ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუკნარში მუსლიმი მოქალაქეების მიმართ გამოვლენილი რელიგიური შეუწყნარებლობა და თანასწორუფლებიანობის დარღვევა. ქრისტიანი მოსახლეობა მუსლიმების მიერ საკუთარი სახსრებით შეძენილ კერძო სახლში ლოცვას აპროტესტებდა იმ არგუმენტით, რომ „ეს ქრისტიანული მიწაა“ და „აქ მეჩეთის ადგილი არ არის“[85]. დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად, ხელისუფლებას დროული და ეფექტური ნაბიჯები არ გადაუდგამს[86].

საქართველოს ხელისუფლების ამგვარი განცხადებები მოწმობს, რომ იგი ღიად და მიზანმიმართულად ზღუდავს რელიგიის თავისუფლებას, უგულებელყოფს კანონის უზენაესობას, მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობასა და სახელმწიფოსა და რელიგიურ ინსტიტუტებს შორის ურთიერთგამიჯვნის კონსტიტუციურ პრინციპებს.

- **<u>შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა</u>**

ქვეყანაში შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობა კვლავ რთულია, რასაც ახალი კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული პრობლემებიც დაემატა. 2021 წელს გამოიკვეთა ჯანმრთელობის დაცვის კუთხით არსებული რიგი სისტემური პრობლემები. მათ შორის, როგორც სამედიცინო დაწესებულებებსა და სერვისებზე წვდომის, ისე სამედიცინო პერსონალთან კომუნიკაციის სირთულის კუთხით. პანდემიის პირობებში, განსაკუთრებით გაუარესდა როგორც ამ პირთა სოციალურ-ეკონიმიკური მდგომარეობა, ისე დასაქმების პერსპექტივა[87]. სამწუხაროდ, მათი დიდი ნაწილი კვლავ დარჩა პანდემიის საპასუხოდ შემუშავებული სახელმწიფოს ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმის მიღმა. გეგმაში შშმ პირთა საჭიროებები სათანადოდ არ იქნა გათვალისწინებული[88].

---

85 იხ. ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/3qdSXGc [13/01/2021].

86 იხ. განცხადება რელიგიის თავისუფლების შეზღუდვისა და დისკრიმინაციული სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=20309&lang=geo&lang=geo

87 იხ. სახალხო დამცველის განცხადება [10/12/2021]: https://bit.ly/3E7C4Ss

88 იხ. სახალხო დამცველის მოსაზრებით ანტიკრიზისულ ეკონომიკურ გეგმაში შშმ პირთა საჭიროებები სათანადოდ არ არის გათვალისწინებული [05/05/2021]: https://bit.ly/3J8sHp6

წინა წლის შემდეგ, თითქმის არაფერი შეცვლილა სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მომსახურეობების სფეროში. მწვავე პრობლემაა მსგავსი მომსახურეობების გეოგრაფიული დაფარვა, კერძოდ, სპეციალურმა პროგრამებმა დღემდე ვერ მოიცვა ქვეყნის მასშტაბით შესაბამისი საჭიროების მქონე ყველა შშმ ბავშვი. ასეთ სერვისებს აქვს მომლოდინეთა დიდი რიგები. გარდა ამისა, წინა წლების მსგავსად, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში პაციენტები ხდებიან ძალადობის მსხვერპლი, უგულებელყოფილია პაციენტთა სამართლებრივი დაცვის გარანტიები. ასეთი დაწესებულებები ვერ აკმაყოფილებენ ქვეყანაში მოქმედ ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მინიმალურ სტანდარტებსაც კი, არსებული ინფრასტრუქტურული მდგომარეობა არ შეესაბამება საერთაშორისო და ეროვნულ სტანდარტებს[89].

მისასალმებელია, რომ 2021 წელს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება, რაც მნიშვნელოვანია ამ პირთა უფლებების საერთაშორისო დაცვის მექანიზმებით უზრუნველყოფისთვის. ასევე, დადებითად უნდა შეფასდეს საქართველოს მთავრობის მიერ შშმ პირთა უფლებების შესახებ კონვენციის იმპლემენტაციის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტის შექმნა[90].

- <u>LGBTQ+ ადამიანთა უფლებრივი მდგომარეობა</u>

LGBTQ+ ადამიანები, გასული წლების მსგავსად, საქართველოში მუდმივად ხდებიან გენდერული ძალადობის მსხვერპლი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტში. მათ მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება წარმოადგენს მეტ-ნაკლებად გავრცელებულ მიდგომას ქართული საზოგადოების გარკვეულ წრეებში. ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებისთვის არსებული ისედაც მწირე მექანიზმები, არ ითვალისწინებს LGBTQ+ თემის წინაშე არსებულ სპეციფიურ გამოწვევებს. პანდემიის გავრცელების თავიდან ასაცილებლად დაწესებული შეზღუდვების ფონზე, კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა ამ თემის წინაშე არსებული პრობლემები და საჭიროებები. კრიზისით გამოწვეული დასაქმების შეუძლებლობა (მაშინ, როცა ლგბტ+ თემისთვის სხვადასხვა სფეროში დასაქმება კრიზისის გარეშეც გართულებულია), უსახლკარობა, ძალადობის გაზრდილი რისკები და სხვა სოციალური და ეკონომიკური საჭიროებები მთავრობის მიერ შემუშავებულ ანტიკრიზისულ გეგმაში 2021 წელსაც არ მოხვდა.

---

89 იხ. ინფორმაცია სრულად [10/12/2021]: https://bit.ly/33A5xaW

90 იხ. პარლამენტმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება მოახდინა [05/03/2021]: https://bit.ly/3Ec41Zq

კრიზისის პირობებში, განსაკუთრებული პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ ტრანსგენდერი ადამიანები, რომელთა მიმართ საზოგადოებაში არსებული განსაკუთრებით ნეგატიური დამოკიდებულებისა და სტიგმატიზაციის გამო, უმუშევრობა, გარიყვა, სხვადასხვა მომსახურებაზე უარის თქმა, ძალადობა და მარგინალიზება ყოველდღიურობადაა ქცეული. სახელმწიფო პოლიტიკა, მათ შორის ანტიკრიზისული გეგმა საერთოდ არ ითვალისწინებდა იზოლაციის პირობებში მყოფი ტრანგენდერებისთვის დახმარების გაწევას.

საგანგაშოა, რომ LGBTQ+ ადამიანების სიცოცხლე და ჯანმრთელობა კვლავ საფრთხის ქვეშ დგას, რასაც 2021 წელს მათზე განხორციელებული თავდასხმებიც ცხადყოფს. თითქმის ყოველდღიურ ხასიათს იძენს LGBTQ+ ადამიანების უფლებებზე მომუშავე პირთა მიმართ სიცოცხლის მოსპობის მუქარა, ოფისების დაზიანება და სხვა სამართალდარღვევები.

სულ უფრო რთული ხდება ამ თემის წარმომადგენელთა მიერ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების რეალიზება. 2021 წლის 5-6 ივლისს ჰომოფობიურმა ჯგუფებმა კონტრაქცია გამართეს და ძალადობრივად თავს დაესხნენ LGBTQ+, ჟურნალისტებსა და LGBTQ+ თემის უფლებების დამცველებს, რამაც გამოიწვია ორგანიზატორების მიერ დაგეგმილი „ღირსების მარშის“ გაუქმება უსაფრთხოების მიზნებით. LGBTQ+ ადმიანების, ჟურნალისტებისა და დემონსტრანტების უსაფრთხოების დაცვა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს. პოლიციამ სათანადოდ ვერ დაიცვა მეორე დღეს სპონტანურად გამართული „მდუმარე აქციის“ მონაწილეებიც, რომლებიც გმობდნენ 5 ივლისს განხორციელებულ ძალადობას[91].

სამწუხაროდ, საქართველოში კვლავ არ არსებობს ერთიანი პრევენციული და სამართლებრივი მიდგომები; ასევე, პრობლემურია ის, რომ ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან თანასწორობისა და ადამიანის უფლებების განუხრელ პატივისცემაზე დაფუძნებული მოწოდებები არ კეთდება. 2021 წლის 1-5 ივლისის პრაიდის კვირეულის ორგანიზებას, რომლის ფარგლებში იგეგმებოდა „ღირსების მარში“, ხელი შეუშალა ხელისუფლების, ასევე - საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს წარმომადგენლების ჰომოფობიურმა საჯარო განცხადებებმა[92].

2021 წლის 16 დეკემბერს გამოქვეყნდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება 2013 წლის 17 მაისის საქმეზე. 17 მაისს ჰომოფობიის წინააღმდეგ მიმართული აქცია რუსთაველის გამზირზე უნდა

---

[91] იხ. 2021 წლის 5-6 ივლისის საპროტესტო აქციების მონიტორინგის ანგარიში, პირველადი სამართლებრივი შეფასება, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2021: https://bit.ly/3J8AH9C

[92] . იხ. „ეკლესია გმობს თბილისის პრაიდს“ [03/072021]: https://bit.ly/3GYMTrF ასევე, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ღირსების მარშის მონაწილეები დაადანაშაულა არეულობის მოწყობაში. იხ. პრემიერ მინისტრი ღირსების მარშს მიზანშეუწონლად მიიჩნევს, და „რადიკალური ოპოზიციის“ მიერ ორგანიზებულად თვლის [05/07/2021]: https://bit.ly/3FfsCOe

გამართულიყო, მაგრამ აქცია ძალადობრივად ჩაშალეს სასულიერო პირების მიერ ორგანიზებული კონტრაქციის მონაწილეებმა. მათ გაარღვიეს პოლიციის კორდონი და ლგბტ ჯგუფის წარმომადგენლებს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ. ჰომოფობიის წინააღმდეგ მიმართული აქციის მონაწილეები კი პოლიციამ აგრესიულ ბრბოს განარიდა.

ევროსასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ლგბტქ აქტივისტებისა და თემის წევრების მიმართ განხორციელდა არაადამიანური მოპყრობა (მუხლი 3) დისკრიმინაციასთან კავშირში (მუხლი 14); დაირღვა ლგბტქ ადამიანებისა და ორგანიზაციების მშვიდობიანი შეკრების უფლება (მუხლი 11) დისკრიმინაციულად (მუხლი 14). ასევე, სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქართველოს 193 500 ევროს გადახდა დაეკისრა დაზარალებულებისთვის[93].

- <u>იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა უფლებები</u>

2021 წელსაც იძულებით გადაადგილებულ პირთა განსაკუთრებით მწვავე პრობლემა სიღატაკე და ნორმალური საცხოვრებელი პირობების არარსებობაა. პანდემიის პირობებში კიდევ უფრო გაიზარდა უმუშევართა რიცხვი, რაც ამ პირთა ისედაც მაღალ უმუშევრობას და სოციალურ გათიშულობას კიდევ უფრო ამძიმებს. გასული წლების მსგავსად, სახელმწიფოში კვლავ არ არსებობს თანმიმდევრული პოლიტიკა ე.წ. ნგრევადი ობიექტებიდან დევნილთა გამოსახლებასთან დაკავშირებით. კვლავაც ჭიანურდება თბილისში დევნილთა გრძელვადიანი განსახლების საკითხიც. შესაბამისად, კვლავ გამოწვევად რჩება სიცოცხლისთვის ან/და ჯანმრთელობისთვის მომეტებულ საფრთხის შემცველ შენობებში მცხოვრები დევნილი ოჯახების მდგომარეობა. პრობლემურია მათი ასეთი შენობებიდან განსახლების პროცედურები. ამასთან, დაზუსტებასა და სრულყოფას საჭიროებს ასეთი შენობების შესახებ სტატისტიკური მონაცემები, რომელიც სახელმწიფოს პრობლემის მასშტაბის უკეთ გააზრებაში დაეხმარება, რაც დღემდე არ ხდება.

2021 წელს, პანდემიის კრიზისის პირობებშიც, ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რეჟიმისა და რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ კვლავ გრძელდებოდა ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ტერიტორიიდან ადამიანების უკანონო გატაცებები[94]. გატაცებულებს ძირითადად ადმინისტრაციული წესით აკავებდნენ და ჯარიმის გადახდის სანაცვლოდ

[93] იხ. CASE OF WOMEN'S INITIATIVES SUPPORTING GROUP AND OTHERS v. GEORGIA (Applications nos. 73204/13 and 74959/13), STRASBOURG, 16 December 2021: https://bit.ly/3H5iZ56

[94] იხ. ოკუპანტებმა, როკის გვირაბის მონაკვეთზე, საქართველოს მოქალაქე გაიტაცეს [02/08/2021]: https://bit.ly/32hTezl; ასევე, იხ. საოკუპაციო ძალების მიერ ნაბიჯ-ნაბიჯ ოკუპირებული ეკლესიები, სასაფლაოები და საძოვრები [26/06/2021]: https://bit.ly/3mhC7Fi

ათავისუფლებდნენ.

2021 წელს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ მიიღო გადაწყვეტილება სახელმწიფოთაშორის საქმეზე „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ“[95] (II) (no. 38263/08), რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს რუსეთის ფედერაციის მხრიდან განხორციელებულ დარღვევებს შეეხება. სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო პირების მკვლელობა, ქართულ სოფლებში სახლების გადაწვა და გაძარცვა ადმინისტრაციულ პრაქტიკას წარმოადგენდა, რაც გულისხმობდა მსგავსი ქმედებების განმეორებით ჩადენას და რუსეთის ოფიციალურ შემწყნარებლობას ამ აქტების მიმართ. სასამართლომ დაადგინა, რომ მსხვერპლების მიმართ ჩადენილი ქმედებები, მათი სერიოზულობის გათვალისწინებით, კვალიფიცირდება როგორც არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა და აღნიშნული პირები ამ ქმედებას დაექვემდებარნენ მათი ეთნიკურობის გამო. აგრეთვე, სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, დაადგინა სიცოცხლის უფლების, წამების აკრძალვის, პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის და საკუთრების უფლების დარღვევა. რაც შეეხება აპლიკანტთა სამართლიან დაკმაყოფილებას, სასამართლომ განმარტა, რომ ეს საკითხი მზად არ იყო გადასაწყვეტად. შესაბამისად, მხარეებს - საქართველოსა და რუსეთს მოუწოდა, გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 12 თვის განმავლობაში წერილობით წარადგინონ კომენტარები ამ საკითხზე და სასამართლოს შეატყობინონ მხარეებს შორის მიღწეული ნებისმიერი შეთანხმების შესახებ. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ 12 თვეში მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მათ მიერ წარდგენილი წერილობითი მოსაზრებების საფუძველზე, სასამართლო თავად იმსჯელებს და მიიღებს გადაწყვეტილებას სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით[96].

- <u>მარტოდ მცხოვრები ხანდაზმულების სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი პრობლემები</u>

საქართველოში პრობლემას წარმოადგენს ხანდაზმულთა უფლებრივი მდგომარეობა, სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით. ხანდაზმულების ძირითადი პრობლემები დაკავშირებულია ჯანმრთელობასთან. სახელმწიფო გასაცემელი (პენსია) და სახელმწიფოს მიერ პროგრამული და მიზნობრივ-პროგრამული წესით ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსება სრულად ვერ აკმაყოფილებს ხანდაზმულთა საჭიროებებს. COVID–19-ის პანდემიის პირობებში

[95] იხ. : CASE OF GEORGIA v. RUSSIA (II), GRAND CHAMBER, (Application no. 38263/08) JUDGMENT: https://bit.ly/3EazaMF

[96] იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება 2008 წლის ომის საქმეზე საქართველო რუსეთის წინააღმდეგ, სამართლებრივი შეფასება, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2021: https://bit.ly/3yHznpw

განსაკუთრებით გაუარესდა მარტოდ მცხოვრები (მეტწილად - სოფლებში) ხანდაზმულების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რასაც თან ერთვოდა ტრანსპორტის გადაადგილების შეზღუდვა. მარტოდ მცხოვრებ ხანდაზმულთა ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა ფიზიკური გადაადგილება. იმისათვის, რომ ხანდაზმულმა მიიღოს სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული სოციალური გასაცემელი (სოციალური შემწეობა), საჭიროა, განცხადებით მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოს.

მართალია, ჯანდაცვის სამინისტროს შემუშავებული აქვს უფასო მედიკამენტების პროგრამა, მაგრამ სხვადასხვა ფაქტორის გამო, ეს პროგრამა არ არის ეფექტიანი და საჭიროებს მეტ სოციალურ გარანტიებს. ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, ჯანმრთელობის დაცვის ეს პაკეტი სრულად უნდა უზრუნველყოფდეს ჯანმრთელობაზე ხელმისაწვდომობას - ფარავდეს როგორც მედიკამენტების, ისე სტაციონარული მომსახურების ხარჯებს 85 წელს ზემოთ ასაკის მოსახლეობისთვის. ეს ასაკი გასათვალისწინებელია მიზნობრივად, რადგან 85 წელს ზემოთ ასაკის ადამიანებში ავადობის მაჩვენებელი, თუნდაც ბიოლოგიური ფაქტორის გათვალისწინებით, გაცილებით მაღალია. ამ ასაკში თითქმის ყველა მოქალაქე უჩივის გულ-სისხლძარღვთა, სახსრების, თირკმელების დაავადებას და მაღალ არტერიულ წნევას (არტერიული ჰიპერტენზია), რაც ყველაზე გავრცელებული დაავადებაა და ავადობისა და სიკვდილობის ძირითად რისკ-ფაქტორად ითვლება. „საქსტატის“ 2019 წლის მონაცემებით, ასევე, სერიოზული პრობლემაა სუნთქვის ორგანოთა ავადმყოფობები.

ჯანდაცვის უფასო მედიკამენტების სახელმწიფო პროგრამა ფარავს მხოლოდ გავრცელებულ ქრონიკულ დაავადებებს და დაფინანსების მიღმა რჩება ხანდაზმულებისთვის იმ მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა, რაც მათი სიცოცხლისთვის და ჯანმრთელობის პრობლემების მოსაგვარებლად მნიშვნელოვანია. ხანდაზმულთა დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ მედიკამენტების ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით ვერ სარგებლობს სწორედ იმის გამო, რომ მათთვის საჭირო წამლები ჩამონათვალში არ არის და საკუთარი ხარჯებით უწევთ წამლების შეძენა, რასაც ხშირად ვერ ახერხებენ.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა გამოკვეთა ხანდაზმულებში ვაქცინაციასთან დაკავშირებული პრობლემა. მარტოდ მცხოვრები ხანდაზმულები პანდემიის პირობებში პრაქტიკულად, ყურადღების მიღმა არიან დარჩენილები, რადგან მათ არ აქვთ ინფორმაცია, როგორც კოვიდ 19-ის პანდემიის რისკების, ასევე - ვაქცინაციის პროცესის შესახებ. მარტოდ მცხოვრებ ხანდაზმულებს არ შეუძლიათ ვაქცინაზე რეგისტრაცია, რადგან მათ არ აქვთ შესაბამისი ტექნიკური საშუალებები (კომპიუტერი, შესაბამისი ტელეფონი, ინტერნეტი) და არც დახმარებას უწევს ვინმე, რის გამოც ხელი არ მიუწვდებათ ვაქცინაციის პროცესზე.

რამდენიმე რეგიონში გამოიკვეთა ხანდაზმულთა მიმართ ძალადობის პრობლემა. სავარაუდო ძალადობის მსხვერპლები, ძირითადად, არ მიმართავენ სამართალდამცავ ორგანოებს, რადგან: 1. ხანდაზმულებს არ სურთ, ითანამშრომლონ სამართალდამცავ ორგანოებთან და ფარავენ დანაშაულს, რათა არ მოხდეს მათი ოჯახის წევრების დაპატიმრება. 2. ხანდაზმულებს არ სურთ საცხოვრებელი ადგილის დატოვება და საცხოვრებლის შეცვლა (თავშესაფარში გადასვლა)[97].

გარდა ზემოაღნიშნულისა, ადამიანის უფლებათა ცენტრის პროექტის ფარგლებში გამოკითხულმა ხანდაზმულებმა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად დაასახელეს მიწის და საერთოდ ქონების რეგისტრაციის საკითხი[98].

პენიტენციური დაწესებულებები

კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით მიღებულმა ზომებმა ყველაზე დიდი გავლენა პატიმართა უფლებების რეალიზებაზე მოახდინა. უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვისთვის აუცილებელი ზომების მიღებით, ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებს შეუჩერდათ პატიმრობის კოდექსით განსაზღვრული საოჯახო, ხანგრძლივი და ხანმოკლე პაემნებით სარგებლობის, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის, ასევე - განსაკუთრებულ, პირად გარემოებებთან დაკავშირებით პენიტენციური დაწესებულების დროებით დატოვების უფლება. ეს შეზღუდვები მათი რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო.

გასული წლის მსგავსად, 2021 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში კვლავ პრობლემაა კრიმინალური სუბკულტურისა[99] და არაფორმალური მმართველობის უკანონო პრაქტიკა, რაც პატიმართა მოწყვლადობასა და მათი უფლების დარღვევის რისკებს მნიშვნელოვნად ზრდის, განსაკუთრებით - პანდემიის პირობებში, როცა საზოგადოებრივი კონტროლი პენიტენციურ დაწესებულებებზე მნიშვნელოვნად შესუსტებულია, ობიექტური ფაქტორების გამო. ამ მანკიერი პრაქტიკის მძიმე შედეგებზე მიუთითებს პატიმართა გარკვეული ჯგუფის მხრიდან სახალხო დამცველის წარმომადგენელთა შეურაცხყოფა და მისი საქმიანობისთვის ხელშეშლის მცდელობის ფაქტებიც[100].

---

[97] იხ. მარტოდ მცხოვრები ხანდაზმულების სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი პრობლემები, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2021.: https://bit.ly/3EiHhqp

[98] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიმართვა ხანდაზმულთათვის მიწების დროულად რეგისტრაციის თაობაზე [15.04.2021]: http://www.hrc.ge/173/geo/

[99] იხ. ე.წ. ობშიაკები, ნარკოტიკები, თამაშები - „შაბათის ფორმულამ“ ციხის აუდიო ჩანაწერები მოიპოვა [18/12/2021]: https://bit.ly/3yWrrkj

[100] იხ. ციხეებში კრიმინალური სუბკულტურა ხელს გვიშლის მუშაობაში, ადმინისტრაცია მათ ხელს უწყობს– ომბუდსმენი [01/20/2021]: https://bit.ly/3sq469D

დაგვიანებული და არასათანადო სამედიცინო მომსახურება, წლებია, პატიმრების მხრიდან ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გაჟღერებული საკითხია. მეტიც, პატიმრებს არაერთხელ გამოუთქვამთ ვარაუდი, რომ სწორედ უხარისხო ან/და გაჭიანურებული სამედიცინო დახმარება აღმოჩნდა სიკვდილის მიზეზი, თუმცა, ამას ადეკვატური შეფასება სახელმწიფო უწყებების მხრიდან არ მოჰყოლია[101]. არასათანადო სამედიცინო მომსახურებას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ საქართველოს სახალხო დამცველმა ორჯერ – 2021 წლის 24 ოქტომბერს და 4 ნოემბერს შეამოწმა მსჯავრდებულ მიხეილ სააკაშვილის მიღებისთვის მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულების მზადყოფნის ხარისხი და დაასკვნა, რომ მე-18 დაწესებულებაში არსებული ვითარება, სამედიცინო უზრუნველყოფის კუთხით, სამწუხაროდ, არ შეესაბამება ექიმთა მულტიფუნქციური ჯგუფის მიერ გაცემულ დასკვნებსა და რეკომენდაციებს[102]. 9 ნოემბერს აღნიშნული საჯაროდ დაადასტურა საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემაც, რომელმაც აღნიშნა - *„რა თქმა უნდა, [N18 სამკურნალო დაწესებულება] არ არის მაღალტექნოლოგიური შესაძლებლობებით აღჭურვილი და ბუნებრივია, შესაძლოა, დამატებით დახმარება დასჭირდეთ“.*

2021 წლის 11 ნოემბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა გაავრცელა მიხეილ სააკაშვილის სამკურნალო დაწესებულებაში ძალმომრეობით შეყვანის კადრების ნაწილი, რაც მაღალი საზოგადოებრივი ინტერესით ახსნა[103]. სახალხო დამცველის შეფასებით, იუსტიციის სამინისტრომ/სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა N18 სამედიცინო დაწესებულებაში მიხეილ სააკაშვილის, მისი ნების საწინააღმდეგოდ, ძალის გამოყენებით შესახლების ამსახველი კადრების გავრცელებით პატიმრის პატივის, ღირსებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება დაარღვია[104].

2021 წლის 17 დეკემბერს 35 წლის პატიმარი, რომელიც 40 დღე გლდანის პენიტენციურ დაწესებულებაში შიმშილობდა, გარდაიცვალა. გავრცელებული ინფორმაციით, პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა მალევე იმდენად კრიტიკული გახდა, რომ მისი მკურნალობა გლდანის მე-18 პენიტენციურმა დაწესებულებამ ვეღარ შეძლო. ამიტომ ის ღუდუშაურის სახელობის საავადმყოფოში გადაიყვანეს. სამოქალაქო კლინიკაში 15 დეკემბერს

---

101 იხ. „ციხეში კიდევ ერთი პატიმარი გარდაიცვალა“ [04/12/2021]: https://bit.ly/3eiEWkV

102 იხ. საქართველოს სახალხო დამცველმა მიხეილ სააკაშვილის მიღებისთვის N18 სამკურნალო დაწესებულების მზადყოფნის ხარისხი კიდევ ერთხელ შეამოწმა [04/11/2021]: https://bit.ly/3JqSMCv

103 იხ. სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ გავრცელებული კადრები [11/11/2021]: https://bit.ly/3sc2KyS

104 იხ. სახალხო დამცველი მიხეილ სააკაშვილის N18 დაწესებულებაში შესახლების კადრების გავრცელებას ეხმიანება [11/11/2021]: https://bit.ly/3GKz0NA

მოთავსებული პატიმარი ზუსტად ორ დღეში გარდაიცვალა[105].

2021 წლის 15 ოქტომბერს კი, რუსთავის მე-17 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გაჩენილი ხანძრის შედეგად ორი პატიმარი გარდაიცვალა[106]. ამ ფაქტს გამოეხმაურა სახალხო დამცველის აპარატი, რომლის თანახმად, მიღებულმა ინფორმაციამ აჩვენა, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში სავარაუდოდ არ არსებობს სახანძრო-უსაფრთხოების წესები და კრიტიკულ შემთხვევებზე რეაგირების მკაფიო ინსტრუქციები. გამოჩნდა, რომ ცეცხლის კერის გაჩენის შემთხვევაში, პენიტენციურ დაწესებულებებში იქმნება ხანძრის კიდევ უფრო ფართოდ გავრცელებისა და პატიმართა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზიანების მაღალი რისკი. არ ხდება სახანძრო-უსაფრთხოების ხარისხის გეგმიური თუ არაგეგმიური მონიტორინგი. სხვადასხვა შენობების (მაგ., სამზარეულო, საცავები) სამშენებლო მასალების შერჩევისას, სავარაუდოდ, არ ხდება ცეცხლგამძლეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების გათვალისწინება[107].

კვლავ პრობლემურია მაღალი თანამდებობის პირთა მიერ სახალხო დამცველის საქმიანობის დისკრედიტაცია და საქმიანობის ხელშეშლის მცდელობა, რაც დისკრედიტაციული შინაარსის განცხადებებში გამოიხატა[108]. ასევე, გაკეთდა სახალხო დამცველისა და ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგის მიზნით ომბუდსმენის მიერ შექმნილ ექიმთა ჯგუფის „შესაძლო პასუხისმგებლობის“ [მუქარის შემცველი] განცხადებებიც[109]. სახალხო დამცველის განცხადებით, ასეთი რიტორიკა სცილდება სამართლებრივ ჩარჩოს, წარმოადგენს დამოუკიდებელ კონსტიტუციურ ორგანოზე და მის ექსპერტებზე თავდასხმისა და დაშინების მცდელობას და ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებების ეროვნულ და საერთაშორისო ვალდებულებებს[110].

ადამიანის უფლებები ოკუპირებულ ტერიტორიებზე

2021 წელს ოკუპირებულ ტერიტორიებზე გადაადგილების უფლებით სარგებლობა კიდევ უფრო გართულდა Covid-19-ის პანდემიის პირობებში.

---

105 იხ. შაბათის ფორმულა: გლდანის ციხეში 40 დღე პატიმარი შიმშილობდა, ის გარდაიცვალა [11/20/2021]: https://bit.ly/3EnMeyc

106 იხ. რუსთავის N17 ციხეში გაჩენილ ხანძარს ორი პატიმარი ემსხვერპლა [15/10/2021]: https://bit.ly/3yRrWfF

107 იხ. სახალხო დამცველის განცხადება N17 დაწესებულებაში პატიმრების გარდაცვალებასთან დაკავშირებით [15/10/2021]. https://bit.ly/3FEOdzW

108 იხ. კობახიძე: სახალხო დამცველი ნაციონალური მოძრაობის დღის წესრიგს მიჰყვება [09/11/2021]. https://bit.ly/3qlU7Q0; ასევე, იხ. სრულიად შეფუთული შევდივარ ციხეში და ჩემს გვარსაც სკანდირებდნენ – ლომჯარია [10/11/2021]: https://bit.ly/3qj5Pea

109 იხ. ირაკლი კობახიძე ექიმთა ჯგუფის დასკვნას „ფეიკს“ უწოდებს [[11/18/2021]: https://bit.ly/3ekMm76

110 იხ. საქართველოს სახალხო დამცველი მპგ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მუქარის შემცველ განცხადებებს ეხმაურება [11/18/2021]: https://bit.ly/30QMubo

მოსახლეობას სირთულეებს უქმნიდა 5-დღიანი სავალდებულო კარანტინის დაცვა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიიდან კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსულ მოქალაქეებს დაუწესა.

2020-2021 წლის განმავლობაში არაერთი უბედური შემთხვევა დაფიქსირდა, როდესაც დაწესებული შეზღუდვების გამო, აფხაზეთის მაცხოვრებლები საკუთარი სიცოცხლის ფასად, სხვადასხვა შემოვლით გზას მიმართავდნენ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მოსახვედრად. 2021 წლის 7 აპრილს მედიასაშუალებებით გავრცელდა ტრაგიკული ინფორმაცია სოფელ შამგონას მიმდებარედ მდინარე ენგურის მიერ რამდენიმე ადამიანის გამორიყვასთან დაკავშირებით[111]. გავრცელებული ინფორმაციით, გალის რაიონის მაცხოვრებლები ოკუპირებული ტერიტორიიდან საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლას მდინარე ენგურის გავლით ცდილობდნენ[112]. მდინარე ენგურის გადმოკვეთისას ყველა მათგანი დაიღუპა.

ენგურზე გამშვები პუნქტის გაუფრთხილებლად და ამავე დროს, განუსაზღვრელი ვადით ჩაკეტვა მოსახლეობას ყველა საბაზისო და სასიცოცხლო მნიშვნელობის სერვისზე წვდომას უზღუდავს და სრულ ჰუმანიტარულ კრიზისში აქცევს[113].

რთული ვითარებაა ახალგორში. კორონავირუსის პანდემიამ ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური, სამედიცინო სერვისების მიწოდების მდგომარეობა მკვეთრად დაამძიმა. ასეთ რეალობაში ადგილობრივები, მათ შორის - ქრონიკული პაციენტები ვერ იღებენ მათთვის აუცილებელ სამედიცინო დახმარებას.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის დიდ ნაწილს მოხუცები წარმოადგენენ და მათთვის შემოსავლის ერთადერთ წყაროს ქართული პენსია წარმოადგენს. გამშვები პუნქტის ჩაკეტვის შემდეგ კი, უმეტესმა ნაწილმა, თვეების გასვლის შემდეგ მოახერხა პენსიის აღება - მას შემდეგ, რაც ე.წ. საზღვარი რამდენიმე დღით გაიხსნა[114].

მედიაგარემო

საქართველოში მედიაგარემო 2021 წელსაც პლურალისტური, მაგრამ უკიდურესად პოლარიზებული იყო, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ, ისე მის შემდგომ პერიოდში.

111 იხ. ინფორმაცია: 2021: https://bit.ly/3rXyp3p
112 სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განცხადება, 2021: https://bit.ly/31Wn8pD
113 იხ. ორგანიზაციების გამოხმაურება [08/04/2021]: https://bit.ly/3pfxRrq
114 იხ. ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/3efM0Ph, https://bit.ly/3svza7N

წინასაარჩევნო პერიოდში კიდევ უფრო იჩინა თავი ჟურნალისტთა მიმართ ძალადობის, კრიტიკული მედიასაშუალებების სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევისა და ზეწოლის მცდელობებმა, ასევე - ინფორმაციული ხელმისაწვდომობის ხარვეზებმა, დეზინფორმაციის გავრცელებამ და მედიის ეთიკური სტანდარტების დარღვევის ფაქტებმა.

პანდემიის პირობებში მედიის კრიტიკული როლი უდავოა, რადგან საზოგადოებისთვის ზუსტი, ობიექტური, დროული და გადამოწმებული ინფორმაციის მიწოდება ვირუსის შეკავებისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისთვის უმნიშვნელოვანესია. ცხადია, მოვლენათა განვითარების სისწრაფემ ჟურნალისტების საქმიანობა მეტად გაართულა. ამის მიუხედავად, ჟურნალისტები საკუთარი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის რისკის ფასად, თითქმის 24-საათიან რეჟიმში მუშაობენ, რითაც დიდი როლი შეასრულეს ვირუსის გავრცელების შეკავებაში, განსაკუთრებით - პანდემიის საწყის ეტაპზე. ყველა წამყვანი მედიასაშუალება ხელს უწყობდა ინფექციის გავრცელებასთან დაკავშირებული ფაქტების პროფესიონალურ და ზუსტ გაშუქებას.

2021 წელს საქართველოში მედიაგარემოზე ასევე მნიშვნელოვნად იმოქმედა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმა. ტრადიციულად, არჩევნების წინა პერიოდში, საქართველოში მატულობს ჟურნალისტებზე ძალადობისა და მათი დაშინების, ასევე - სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევისა და საჯარო პირების მიერ მედიის რეპუტაციის შელახვის მცდელობები. სამწუხაროდ, ამ მხრივაც, 2021 წელი განსაკუთრებული გამოწვევებით გამოირჩეოდა. ასევე, პრობლემურ საკითხთა შორის იყო ხელისუფლების მხრიდან ბოიკოტის გამოცხადება ჟურნალისტებისთვის და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვები.

სამწუხაროდ, ქართულ მედიაში კვლავ გამოწვევად რჩება ეთიკური მედიის სტანდარტების დაუცველობა და ინფორმაციით მანიპულირება. მედიასაშუალებებში თვითრეგულირებისა და ჟურნალისტური ეთიკის დაცვის დეფიციტი ზრდის ხელისუფლების მიერ მედიის საქმიანობის კონტროლისა და დამატებითი რეგულაციების დაწესების რისკებს.

- <u>კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობა</u>

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობა 2021 წელსაც კრიტიკულად შეფასდა, რადგან კომისიას არაერთხელ ჰქონდა მცდელობა, ჩარეულიყო მედიის თავისუფლებაში, რაც გამოიხატა მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში მაუწყებლების დაჯარიმების ან სამართალდამრღვევად ცნობის შესახებ. 2021 წლის 25 ნოემბერს კომისიამ წლიური შემოსავლის 1%-ით – 112 000 ლარით დააჯარიმა ტელეკომპანია

„მთავარი არხი“ ეთერში სამი „პოლიტიკური რეკლამის“ გაშვების გამო[115]. კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გასცდა კომისიის მანდატს, დაფუძნებულია კომისიის მიერ კანონმდებლობის სუბიექტურ ინტერპრეტაციაზე და არ არის თანაზომიერი ჩარევა მედიის თავისუფლებაში. კომისიის ამ გადაწყვეტილებას გამოეხმაურა კოალიცია „მედიის ადვოკატირებისთვის“, რომელმაც განმარტა, რომ „მთავარი არხის“ მიმართ სანქციის მაღალი ზღვრის გამოყენების არაერთი ფაქტი მიანიშნებს კომისიის მცდელობაზე, ფინანსური ბერკეტების ამოქმედებით დასაჯოს მაუწყებელი და ზეგავლენა მოახდინოს „მთავარი არხის“ სარედაქციო პოლიტიკაზე. ასევე, კოალიციის შეფასებით, „მთავარი არხის“ სანქცირების ტენდენცია ცენზურის ნიშნებს ატარებს[116].

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ბავშვთა უფლებების დაცვის თემაზე მიღებული გადაწყვეტილებების პრობლემური საკითხები. კომუნიკაციების კომისია თავს არიდებს ზოგადი სტანდარტების ჩამოყალიბებას და ძირითადად შემოიფარგლება მხოლოდ კონკრეტული გადაწყვეტებით, კონკრეტული სატელევიზიო პროდუქციის ასაკობრივ ჯგუფთან შეუთავსებლობასთან დაკავშირებით. ამგვარი გადაწყვეტილებები ვერ აყალიბებს ზოგად სახელმძღვანელო სტანდარტებს მაუწყებლებისთვის და მათ მომავალშიც გაუჭირდებათ იმის განსაზღვრა, თუ რა ტიპის სატელევიზიო პროდუქციის გაშვებას შეიძლება მოჰყვეს მათი სამართლებრივი პასუხისმგებლობა[117].

- <u>დეზინფორმაცია და ფეიკ ნიუსი</u>

უკანასკნელ წლებში, რუსული დეზინფორმაციის გავრცელების გარდა, ქართულ მედიასივრცეში, განსაკუთრებით კი - სოციალურ ქსელებში, ე.წ. ბოტებისა და ტროლების მეშვეობით, გახშირდა საზოგადოებრივი აზრის ფორმირების მცდელობები, პოლარიზაციისა და ოპონენტთა დისკრედიტაციისკენ მიმართული კამპანიები.

საქართველო კვლავ მოწყვლადია უცხო ქვეყნებიდან წამოსული ჰიბრიდული საფრთხის მიმართ. მისასალმებელია ფეისბუკის მცდელობა დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლაში. ასევე, მნიშვნელოვანია, ამ მხრივ, საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის გაძლიერება, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორების მხარდაჭერის გაზრდა.

---

115 იხ. კომუნიკაციების კომისიამ „მთავარი არხი“ 112 000 ლარით დააჯარიმა: https://bit.ly/3EfN3t8

116 იხ. „მთავარი არხის“ სანქცირების ტენდენცია ცენზურის ნიშნებს ატარებს“: https://bit.ly/30KCWi9

117 იხ. კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხზე მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზი, GDI, 2021: https://bit.ly/3GXB315

- <u>ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა / ფიზიკური და სიტყვიერი დაპირისპირებები</u>

მიუხედავად იმისა, რომ მედიასთან დაკავშირებული ქართული კანონმდებლობა საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადია, ასევე - სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლიც ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იმ ქმედებებისთვის, რაც ხელს უშლის ჟურნალისტს პროფესიული მოვალეობის შესრულებაში, წლების განმავლობაში, კვლავ პრობლემურია კანონის აღსრულება. პრაქტიკაში სამართალდამცავები იშვიათად იყენებენ სისხლის სამართლის აღნიშნულ მუხლს. ამასთან, ხშირად ამ ნორმის არასწორად განმარტებასთან გვაქვს საქმე. ამ მუხლით დაწყებული გამოძიება კი მუდმივად ჭიანურდება. ეს ყველაფერი კვლავ ტოვებს დაუსჯელობის განცდას და ზრდის მედიის წარმომადგენელთა მოწყვლადობას, რასაც ბოლო წლებში ჟურნალისტებზე გახშირებული თავდასხმებიც ადასტურებს. აგრეთვე, ჩნდება ეჭვი, რომ ეს ტენდენცია, შესაძლოა, საგამოძიებო ორგანოების მხრიდან კრიტიკული სარედაქციო პოლიტიკით გამორჩეული ოპოზიციური ტელევიზიების მიმართ ხელისუფლების პოლიტიკის გატარებას ემსახურებოდეს და მიზნად ისახავდეს კრიტიკული მედიასაშუალებების მიმართ საზოგადოების ნდობის შელახვასა და მათ დისკრედიტაციას.

2021 წელს, საგანგაშო იყო ჟურნალისტების წინააღმდეგ მიმართული ძალადობის ფაქტების რაოდენობრივი მაჩვენებელი. 2021 წლის 5-6 ივლისის „ღირსების მარშის“ კონტრაქციების დროს თბილისში, ჟურნალისტთა მიმართ ძალადობის უპრეცედენტო მასშტაბი დაფიქსირდა. ხოლო აქციაზე შეკრებილი ცალკეული პირების მხრიდან მედიასაშუალებების წარმომადგენელთა მიმართ განხორციელდა მასშტაბური ძალადობრივი ქმედებები და ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტები. კონტრაქციის მონაწილეები სასტიკად უსწორდებოდნენ მედიის წარმომადგენლებს. 5 ივლისს, განსხვავებით 6 ივლისის აქციისა, პოლიცია პასიურად ერეოდა ძალადობრივ ინციდენტებში და არ აკავებდა მოძალადეებს. ჟურნალისტები სახელმწიფოს მხრიდან სრულიად დაუცველნი აღმოჩნდნენ, რასაც ნათლად დისკრიმინაციული შეფერილობა ჰქონდა. ამ ქმედებებს ჰქონდა კარგად ორგანიზებული ხასიათი.

2021 წლის 5 ივლისს თავს დაესხნენ კონტრაქციაზე მომუშავე სხვადასხვა მედიასაშუალების 53 ჟურნალისტსა და ოპერატორს[118]. ჟურნალისტებზე თავდასხმა ძალადობის სხვადასხვა ინტენსივობის იყო, რა დროსაც მედიის რამდენიმე თანამშრომელმა უმძიმესი ფიზიკური დაზიანებები მიიღო და დასახიჩრდა[119]. ტვ „პირველის“ ოპერატორი ლექსო ლაშქარავა, რომელიც 2021

[118] იხ. ჟურნალისტების სია, რომლებსაც ძალადობრივი ჯგუფები თავს დაესხნენ: https://bit.ly/3yqBuNH
[119] *იქვე.*

წლის 5 ივლისს პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს სასტიკი ძალადობის მსხვერპლი გახდა, 11 ივლისს საკუთარ სახლში ღამით გარდაიცვალა[120]. დაჩქარებული საგამოძიებო მოქმედებებისა და 5 ივლისს მიღებულ დაზიანებებთან დაკავშირებით, ხელისუფლების მიერ სხვა ვერსიების გავრცელების მიუხედავად, ლექსო ლაშქარავას გარდაცვალების თაობაზე დამაჯერებელი მტკიცებულებები და სამედიცინო ექსპერტიზის საბოლოო შედეგები, შესაბამის ორგანოებს არ გამოუქვეყნებიათ.

ოფიციალური მონაცემებით, 2021 წლის 5-6 ივლისს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით დაწყებული გამოძიების ფარგლებში დაზარალებულად ცნობილია 45 ჟურნალისტი და ოპერატორი[121].

აგრეთვე, აღსანიშნავია ჟურნალისტ ვახტანგ სანაიას საქმე. 2021 წლის 25 თებერვალს მას თავს დაესხა ნასვამ მდგომარეობაში მყოფი სამი პირი. ჟურნალისტი ოჯახის წევრებთან, მათ შორის - მცირეწლოვან შვილთან ერთად იმყოფებოდა. ამ საქმეზე დაკავებულ სამ პირს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით წარედგინათ. თბილისის საქალაქო სასამართლომ სამივე ბრალდებული დამნაშავედ ცნო, მაგრამ ძირითადი სასჯელის სახით, მინიმალური - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. სამივე თავდამსხმელი 6 თვე წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა, რის გამოც ეს ვადა მათ მოხდილად ჩაეთვალათ და საპატიმროდან განაჩენის გამოცხადების დღესვე გათავისუფლდნენ. კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის განცხადებით, სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენით მართლმსაჯულება სათანადოდ არ აღსრულებულა. ამ გადაწყვეტილებამ კრიტიკული მედიის წარმომადგენელთა მიმართ ძალადობის წახალისება შეიძლება გამოიწვიოს, რაც მსგავს საქმეებზე ხელისუფლების მხრიდან არაეფექტიანი რეაგირების ფონზე, კიდევ უფრო ამძიმებს ქვეყანაში არსებულ მედიაგარემოს[122].

აგრეთვე, სამწუხაროა, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ჩვეულ პრაქტიკად ჩამოყალიბდა პოლიტიკური თანამდებობის პირთა მხრიდან ჟურნალისტების, განსაკუთრებით კი კრიტიკული მედიის წარმომადგენელთა მიმართ ცინიკური/აგდებული დამოკიდებულება და მათი დისკრედიტაციისკენ მიმართული განცხადებები.

---

120 იხ. ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/3xkURWY

121 იხ. ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა - შერჩევითი სამართალი, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2021: https://bit.ly/3pfBgH6

122 იხ. განცხადება სრულად: https://bit.ly/3HUAQwU

ფარული მიყურადებები

2021 წლის 13 სექტემბერს, სავარაუდოდ - სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან, საიდუმლო ფაილები გავრცელდა. ინტერნეტში გავრცელებული ფაილების თანახმად, ირკვევა, რომ ქვეყანაში უსმენენ და უთვალთვალებენ მედიასაშუალებების, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების[123], ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის წევრებს, პატრიარქის მოსაყდრეს, მღვდელმთავრებს, პატრიარქის თანაშემწეებს, ეპისკოპოსებს, მონაზვნებს და მათთან დაკავშირებულ პირებს, რელიგიურ გაერთიანებებს - როგორც საპატრიარქოს, ასევე არადომინანტურ რელიგიურ ჯგუფებს. აკონტროლებენ მათ გადაადგილებას, საბანკო გადარიცხვებს და პირად ცხოვრებას.

ათასობით ფაილში გვხდება ინფორმაცია იმ ადამიანების შესახებაც, ვისი საშუალებითაც ესა თუ ის სასულიერო პირი უნდა გადაებირებინათ. დოკუმენტები მოიცავს ინფორმაციას იმ მღვდლებზეც, ვინც ნარკოდამოკიდებულია ან კრიმინალებთან მეგობრობს[124]. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან გაჟონილ ათასობით ფაილში ასევე მრავლად არის დოკუმენტები, კრებსები, რომლებიც საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების თანაშრომლებს შეეხება[125].

მოგვიანებით ინტერნეტსივრცეში ფარული მიყურადების შესახებ სხვა ინფორმაციაც გავრცელდა. დოკუმენტებში, რომელსაც სავარაუდოდ, სუს-ის ყოფილი თანამშრომელი ავრცელებს, პირდაპირ არის აღწერილი კონკრეტული ადამიანების პირადი ცხოვრება. განსაკუთრებული აქცენტია გაკეთებული მაღალი იერარქიის სასულიერო პირების სექსუალური ორიენტაციისა და მათი წარსულის შესახებ[126]. ყველა ამ დოკუმენტში ჩამოთვლილია მაღალი იერარქიის სასულიერო პირები, რომლებსაც კონკრეტულ ადამიანებთან აქვთ „ინტიმური კავშირი“. მითითებულია ამ მოქალაქეების სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ასევე, ფაილს დართული აქვს ფოტოები. სწორედ ამ მასალებში არის დასახელებული რამდენიმე სასულიერო პირი, რომლებსაც პედოფილიაში ედებათ ბრალი[127].

გარდა ზემოაღნიშნულისა, გავრცელებულ მასალებში რუსულ კავშირებზე

---

[123] ფაილებში ნახსენები სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლები (გიორგი ონიანი, გურამ იმნაძე და გიორგი მშვენიერაძე) ადასტურებენ გადაცემაში განხილული ერთ-ერთი კომუნიკაციის ნამდვილობას, რომელიც შეეხებოდა სოციალური სამართიანობის ცენტრის ერთ-ერთი დირექტორის, თამთა მიქელაძის დაბარებას უსაფრთხოების სამსახურში. ეთერში გასული სხვა ინფორმაციის ნამდვილობას ასევე ადასტურებს რადიო „თავისუფლების“ გამომძიებელი ჟურნალისტი, გიორგი მგელაძეც. იხ. https://bit.ly/32ejBXh

[124] იხ. ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/32hh7Hs

[125] იხ. ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/3e7V4FN

[126] იხ. ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/3J3gMJj

[127] იხ. ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/3Bq7R0e

არაერთი ფაილი იძებნება. ირკვევა, რომ არის Word-ის ერთიანი ფაილი მოკლე ინფორმაციებით, ასევე, საქაღალდე სახელწოდებით: „რუსული ორიენტაცია“, სადაც 15 სასულიერო პირის დოსიეა შეყვანილი. მიუხედავად ამისა, ეს ინფორმაცია ბევრად უფრო მწირია, ვიდრე, მაგალითად, ინფორმაცია კონკრეტული ადამიანების სექსუალური კავშირების შესახებ[128].

თავდაპირველად, მმართველი ძალის - „ქართული ოცნების“ ლიდერები გავრცელებულ ფაილებს ეკლესიისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლად აფასებდნენ და ამაში ცალსახად ოპოზიციურ პარტიას, „ნაციონალურ მოძრაობას“ ადანაშაულებდნენ. თუმცა, რამდენიმე დღის შემდეგ, მათ რიტორიკაში გაჩნდა ვერსია ექსპრემიერ გიორგი გახარიას გუნდის მიერ ინფორმაციის გატანაზე, თავად ფარული ჩანაწერების შინაარს კი ხელისუფლებაში „ტყუილ-მართალი“ უწოდეს.

გავრცელებული ინფორმაციით[129], 2021 წლის 14 სექტემბერს, ამ ფაილებთან დაკავშირებით, საქართველოს პროკურატურამ გამოძიება დაიწყო. პროცესი კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით მიმდინარეობს. გამოძიების შედეგები დღემდე არ არის ცნობილი.

სამწუხაროდ, ამ სახის უკონტროლო მიყურადების საფუძველს ქმნის მოქმედი კანონმდებლობა, რომელიც უსაფრთხოების ორგანოებს აძლევს მობილური ოპერატორების სერვერებზე უკონტროლო, პირდაპირი მიერთების შესაძლებლობას, რაც აიოლებს უკანონო მიყურადების შესაძლებლობას და ამცირებს მისი გამოვლენის რისკებს. ეს კანონმდებლობა საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გასაჩივრდა საკონსტიტუციო სასამართლოში, რომელმაც საქმის არსებითი განხილვა დაასრულა 2018 წელს, მაგრამ გადაწყვეტილება კვლავ არ მიუღია[130].

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეები

- **<u>კარტოგრაფების საქმე</u>**

საგარეო საქმეთა სამინისტროს მეზობელი ქვეყნების დეპარტამენტის, სასაზღვრო ურთიერთობათა სამსახურის ყოფილ უფროსს, ივერი მელაშვილს და შსს-ს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ყოფილ მთავარ ინსპექტორს, ნატალია ილიჩოვას ბრალი წარდგენილი აქვთ სსკ-ის 308-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც გულისხმობს საქართველოს

128 იხ. ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/3Bq7R0e

129 იხ. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განცხადება [14/09/2021]: https://bit.ly/3J58v7A

130 იხ. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მასშტაბური უკანონო ფარული მოსმენისა და თვალთვალის ფაქტების სამართლებრივი შეფასება, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2021: https://bit.ly/3qqaGww

საწინააღმდეგო მოქმედებას, რომელიც მიმართულია უცხო ქვეყნისთვის საქართველოს მთელი ტერიტორიის ან მისი ნაწილის გადაცემისაკენ ან/და საქართველოს ტერიტორიიდან მისი ნაწილის გამოყოფისაკენ. 2021 წლის 28 იანვარს, პროკურატურის მიმართვის საფუძველზე, მოსამართლე ლელა კალიჩენკომ ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა 20 000-20 000 ლარიანი გირაოს სანაცვლოდ შეუცვალა. ამასთან, სასამართლომ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობაც ივერი მელაშვილის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ. საქმეზე, ამ ეტაპზე, ბრალდების მხარის მტკიცებულებების გამოკვლევა მიმდინარეობს.

აღნიშნულ საქმეზე, საქმის ფაქტობრივმა გარემოებებმა, გამოძიების დაწყების დრომ, წინასაარჩევნო კონტექსტმა, გამოძიების პროცესში გამოვლენილმა შერჩევითი მიდგომის ნიშნებმა და მმართველი პარტიის ლიდერების მიერ უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევით გაკეთებულმა პოპულისტურმა განცხადებებმა თავიდანვე გააჩინა საფუძვლიანი ეჭვი გამოძიების პოლიტიკური ნიშნით წარმართვისა და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე გავლენის მოხდენის მცდელობის თაობაზე. ამ სისხლის სამართლის საქმეში ადამიანის უფლებათა ცენტრი, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, აგრძელებს ნატალია ილიჩოვას ინტერესების დაცვას.

- <u>2021 წლის 5 ივლისის კონტრაქციაზე დაკავებულთა საქმე</u>

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, 5 და 6 ივლისს თბილისში სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ დაგეგმილი „ღირსების მარშის“ საწინააღმდეგო ჰომოფობიური აქციის მიმდინარეობისას, ჟურნალისტებზე ძალადობისა და პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ბრალდებით, კონტრაქციის რამდენიმე მონაწილე დააკავეს. ადამიანის უფლებათა ცენტრი თბილისის საქალაქო სასამართლოში აკვირდება ბრალდებულების მუხრან დადვანის, ირაკლი წიგნაძის, ნიკოლოზ გულედანის, ბაქარ მაისურაძის, თორნიკე გაბლიანის, ვანო ბურდულის და დავით ქოჩიაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე საქმეების განხილვას. ამ პირების საქმე გაერთიანებულია და თბილისის საქალაქო სასამართლოში განიხილება. ბრალდებულებს სახელმწიფო ბრალდება ედავება სსკ-ის 225 მუხლის მე-2 ნაწილით და სსკ-ის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და სსკ-ის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენას.

საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოში ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ

2021 წლის 6 ივლისს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ადამიანის

უფლებათა დაცვის სფეროში ყოველწლიური დიალოგის რიგით მე-14 შეხვედრა ვიდეოკონფერენციის საშუალებით გაიმართა[131]. შეხვედრაზე საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვასა და ხელშეწყობაზე მიმართული ევროკავშირის პოლიტიკის ბოლოდროინდელი მოვლენების შესახებ იმსჯელეს.

შეხვედრის შემდეგ გავრცელებულ ერთობლივ განცხადებაში[132] ხაზგასმულია ადამიანის უფლებების საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების ერთგულება რელიგიური აღმსარებლობის, მრწამსის, ეთნიკური წარმომავლობის, რასის, სქესის, ენის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, შესაძლებლობის ან რაიმე სხვა ნიშნის მიუხედავად. ევროკავშირი გმობს 2021 წლის 5-6 ივლისს თბილისში მომხდარ ძალადობრივ თავდასხმებს სამოქალაქო აქტივისტებზე, საზოგადოების წევრებსა და ჟურნალისტებზე, რის გამოც LGBTIQA+ ღირსების მარში იძულებით გაუქმდა. ევროკავშირის განცხადებით, ეს თავდასხმები დაუშვებელია და სახელმწიფოს ეფექტური გამოძიებისკენ მოუწოდა.

ევროკავშირი აღნიშნავს, რომ COVID-19 პანდემია და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები მზარდ უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის უფლებებზე, დემოკრატიასა და კანონის უზენაესობაზე, მათ შორის - სამოქალაქო სივრცეზე. ეს კიდევ უფრო აღრმავებს აქამდე არსებულ უთანასწორობას და ზრდის ზეწოლას მოწყვლად სიტუაციებში მყოფ პირებზე.

ევროკავშირმა ხაზი გაუსვა საქართველოში პოლიტიკური პარტიების მიერ 19 აპრილს ხელმოწერილი შეთანხმების სრულად და დროულად განხორციელების მნიშვნელობას. ევროკავშირმა საქართველოს 2021–2030 წლების ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის სწრაფი მიღებისკენ მოუწოდა.

2021 5 ივლისს საერთაშორისო უფლებადაცვითი ორგანიზაცია „საერთაშორისო ამნისტია“ (Amnesty Internation) გამოეხმაურა თბილისში, 5 ივლისს განვითარებულ მოვლენებს. ორგანიზაციის განცხადებით, ხელისუფლების წარუმატებლობა „თბილისი პრაიდის“ დაცვაზე კიდევ ერთხელ წაახალისებს ძალადობას[133]. Amnesty International-ის დირექტორის მოადგილემ აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის საკითხებში, დენის კრივოშეევმა კი განაცხადა: *„ნაცვლად იმისა, რომ მოვლენების ასეთი განვითარებისთვის მომზადებულიყვნენ და მტკიცე პასუხი გაეცათ ძალადობისთვის, ხელისუფლებამ არაადეკვატურად მცირე რაოდენობის პოლიციელი განათავსა ადგილზე,*

131 EU/Georgia: Joint press release on the annual Human Rights Dialogue, Brussels, 07/07/2021: https://bit.ly/3mkVwFi

132 *იქვე.*

133 ob. Georgia: The authorities' failure to protect Tbilisi Pride once again encourages violence, Amnesty International [05/07/2021]: https://bit.ly/3Fh1pe6

რომლებიც მხოლოდ ძალადობრივ თავდასხმებზე რეაგირებდნენ და არ უზრუნველყვეს ლგბტ აქტივისტების ორგანიზებული დაცვა"[134].

Amnesty International, ასევე, ყურადღებას ამახვილებს საქართველოსა და ბელარუსის უსაფრთხოების სამსახურებს შორის ხელმოწერილ შეთანხმებაზე. განცხადების თანახმად, საქართველოსა და ბელორუსის უსაფრთხოების სამსახურებს შორის თანამშრომლობის ახალი შეთანხმება არ უნდა იქნას გამოყენებული გამოხატვის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დასარღვევად. ბელორუსის სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტსა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს შორის თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება, რომელიც ძალაში შევიდა 2021 წლის 1 აგვისტოს, ითვალისწინებს თანამშრომლობას და ინფორმაციის გაცვლას სახელმწიფო უსაფრთხოების, ტერორიზმის, კიბერ ტერორიზმის, ორგანიზებული დანაშაულისა და იარაღის უკანონო ვაჭრობის სფეროებში. ხელშეკრულება საშუალებას აძლევს მხარეებს, გაცვალონ ნებისმიერი პირის პერსონალური ინფორმაცია და მონაცემები, რომლებიც სახელმწიფოსთვის საფრთხეს წარმოადგენს. ის ასევე იძლევა სახელმწიფო უსაფრთხოების აგენტების განლაგებას ერთმანეთის ტერიტორიაზე განუსაზღვრელი ვადით[135].

ორგანიზაციის - „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე" [Reporters Without Borders] 2021 წლის მსოფლიო პრესის თავისუფლების ინდექსში საქართველო 180 ქვეყანას შორის, გასული წლის მსგავსად, მე-60 ადგილზეა. ორგანიზაციის განცხადებით, ისინი გმობენ 5 ივლისს მედიის წარმომადგენლებზე თავდასხმას და აცხადებენ, რომ 53 ჟურნალისტზე თავდასხმა პრესის თავისუფლების კუთხით უკან გადადგმული ნაბიჯია. ისინი, ასევე, ხელისუფლების დანაშაულებრივ პასიურობას გმობენ და ყველა დამნაშავის დასჯას ითხოვენ[136].

„ფრიდომ ჰაუსი" [Freedom House] მიუთითებს, რომ არჩევნებზე, მიუხედავად იმისა, რომ კონკურენტუნარიანია, გავლენას ახდენს ამომრჩეველთა დაშინება, ხმის მიცემის მიზნით მოსყიდვა, სახელმწიფო რესურსების ბოროტად გამოყენება და ძალადობის ინციდენტები; პოლიცია იყენებს გადაჭარბებულ ძალას მომიტინგეებისა და დაკავებულების მიმართ და საქართველოს არ გააჩნია დამოუკიდებელი სისტემა, სადაც განიხილება არასათანადო მოპყრობის შესახებ ოფიციალიური განცხადებები; ხოლო ქალები და ლგბტ+ ადამიანები განიცდიან

[134] ob. Amnesty International-ის განცხადება: https://bit.ly/3Fh1pe6

[135] ob. Georgia: Cooperation agreement with Belarus security services must not trample on human rights [09/20/2021]: https://bit.ly/3ml7Iva

[136] ob. Attacks on 53 journalists is a major setback for press freedom in Georgia, RSF says [07/07/2021]: https://bit.ly/32ejbQP

სოციალურ დისკრიმინაციას და ძალადობას[137].

აშშ-ის საელჩო განსაკუთრებულ ყურადღებას მართლმსაჯულების სისტემაში არსებულ პრობლემებზე ამახვილებს. საელჩო, კიდევ ერთხელ, იმედგაცრუებულია, რომ პარლამენტი განაგრძობს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნის პროცესს სასამართლო რეფორმის წინა ტალღების დამოუკიდებელი შეფასების დასრულებამდე, რაზეც პარლამენტის ლიდერები შეთანხმდნენ. აგრეთვე, მოსამართლეების დანიშვნა მიმდინარეობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების მონაწილეობის გარეშე. აშშ-ის საელჩო საქართველოს უზენაესი სასამართლოს შემდგომი მოსამართლეების დანიშვნამდე, *„მტკიცედ“* მოუწოდებს პარლამენტს, პრიორიტეტი მიანიჭოს მიუკერძოებელი, დამოუკიდებელი არამოსამართლე წევრების დანიშვნას საბჭოში და 2022 წლის გაზაფხულამდე დაასრულოს რეფორმის წინა ტალღების დამოუკიდებელი შეფასება[138].

137 იხ. Summit for Democracy 2021 – Georgia, Freedome House: https://bit.ly/3J3SAXb

138 იხ. აშშ-ის საელჩოს განცხადება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნის შესახებ [26/11/2021]: https://bit.ly/3so0EMM